# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 219 (6319)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „ვიღაც უნდა შევიდეს პარლამენტში, ვიღაცამ ხელისუფლებასთან ილაპარაკოს...“



3



## რაზე ილაპარაკეს ზურაბ ნოღაიდელმა და გრიგორი კარასინმა? 2

## მუანცვანაძეოს ცუსადემი თბილისში მოდიან? 8



## თუთბერიძეების ამოცანა ფუნდამენტურ ფასეულობებზე იერიშის მიტანაა 3



## პროფესორი, რომელიც 100 წლის სიცოცხლეს გაჩუქებთ 6



## თქვენ მოგიწევთ, ბემო გაუსინჯოთ საკუთარ ჰალსტუხებს, – ამბობს კოსაჩოვი 5

## ვანო სარაჯიშვილი 7 და ქართული რომანსი



№ 219. ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 2009 წელი.

**ინფორმაცია**

## პროტესტი ოკუპანტების ქმედებების გამო

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსი ოკუპანტების მიერ დუშეთის რაიონიდან 16 ქართველის გატაცების გამო ლავროვის უწყებას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.**

საპროტესტო ნოტა ვაშაძის უწყებამ გუშინ საქართველოში რუსეთის ინტერესების წარმომადგენელს, შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლორენცო ამბერგს გადასცა.

ნოტაში ნათქვამია, რომ „2009 წლის 26 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ გერმისხევიდან, რუსი საოკუპაციო ჯარების ე.წ. მესაზღვრეების მიერ გატაცებული იქნა საქართველოს 16 მოქალაქე, რომელთაც ბრალს დებენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის „საზღვრის" უკანონო გადალახვაში. გატაცებული პირები დღემდე უკანონოდ არიან დატყვევებული ოკუპირებული ახალგორის რაიონის ე.წ. „პროკურატურაში".

ზემოაღნიშნულ ფაქტს საქართველოს მხარე აფასებს, როგორც საოკუპაციო ძალების მიერ ჩადენილ მორიგ დანაშაულს და პროვოკაციას, რომელსაც რუსეთი სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს მკაცრ პროტესტს რუსეთის მხარის ზემოაღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით და კატეგორიულად მოითხოვს უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ დაბრუნებას".

## რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები მხოლოდ ნატოს წევრ ქვეყნებში განლაგდება

**რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტები მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე განთავსდება. შესაბამისი განცხადება საქართველოში აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა გააკეთა.**

— რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ნატოს პროექტია, თუმცა აშშ მასში ყველაზე აქტიურადაა ჩართული. ამ სისტემის ელემენტების განთავსება არ განიხილება იმ სახელმწიფოების ტერიტორიებზე, რომლებიც ალიანსის წევრები არ არიან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ქვეყნები ამ პროექტით ვერ ისარგებლებენ, — განაცხადა ბასმა.



შეგახსენებთ, რომ იგივე სახის განცხადება რამდენიმე დღის წინათ თბილისში ვიზიტად მყოფმა აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმაც გააკეთა. უფრო ადრე კი ამ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური პოზიცია აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მოსკოვში ვიზიტისას გააჟღერა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ახალი ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, რომელმაც ჯონ ტეფტი შეცვალა, მოვალეობის შესრულებას ორი კვირის წინ შეუდგა.

## ოკუპანტები გალის რაიონში დამატებით ძალებს განათავსებენ

**აფხაზეთში, კერძოდ კი გალის რაიონში რუსი ოკუპანტები დამატებით ცოცხალ ძალას და მძიმე ტექნიკას განათავსებენ.**

ამის შესახებ კონფლიქტის რეგიონიდან ინფორმირებული წყარო იტყობინება.

წყაროს ინფორმაციით, რუსი ოკუპანტები ამ დროისთვის გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში არიან დისლოცირებულები, საიდანაც ისინი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან არსებულ ე.წ. სასაზღვრო სოფლებში განთავსდებიან.

მისივე თქმით, ოკუპანტების ცოცხალი ძალის რაოდენობა 500 ჯარისკაცით იზრდება.

როგორც აღნიშნავენ, გალის რაიონში ოკუპანტები დამატებითი ძალის შემოყვანის მიზეზად 12 დეკემბერს აფხაზეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რაიონში უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას უკავშირდება.

## ეღპ რეფერენდუმს მხარს არ დაუჭერს

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თვითმმართველობის მუნიციპალური ორგანოების მიერ ადგილობრივი რეფერენდუმების ჩატარების იდეას მხარს არ დაუჭერს.**

— კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ დემეტრაშვილის მიერ ინიცირებული თვითმმართველობის მუნიციპალური ორგანოების მიერ ადგილობრივი რეფერენდუმების ჩატარების იდეა არის ერთადერთი საკითხი, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მისი წარმომადგენლის, კომისიის მდივნის თენგიზ შარმანაშვილის სახით კომისიაში მხარს არ დაუჭერს, — ნათქვამია ეღპ-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ექსპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

**ვიდეოხიდი**

# რაზე ელაპარაკა ზურაბ ნოღაიდელი გრიგორი კარასინს?

## ექსპრემიერის რუსეთული შთაბეჭდილებები




**ზურაბ ნოღაიდელი წუხელ, გვიან ღამით რუსეთის დედაქალაქიდან კმაყოფილი, შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა. მან მოსკოვში ოთხ დღე დაჰყო, სადაც თავისი მეგობრის, „საქართველოს ხალხთა ასამბლეის" ხელმძღვანელის გოჩა ძასოხოვის ხელშეწყობით ქართული, აფხაზური და ოსური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ის მინისტრის მოადგილესა და საგანგებო დავალებათა ელჩს გრიგორი კარასინს შეხვდა.**

**ამ ვიზიტის შესახებ ზურაბ ნოღაიდელმა თბილისში გამოფრენამდე ვრცლად ისაუბრა „რია-ნოვოსტის" ცენტრალურ ოფისში რუს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, ხოლო პარალელურად ქართველი ჟურნალისტებისთვის ვიდეოხიდი თბილისის ოფისში გაიმართა.**

**ნოღაიდელს თან ახლდა გოჩა ძასოხოვი, რომელიც აღფრთოვანებული იყო ოპოზიციონერი ლიდერის გაბედულებით, რადგან რუსეთის აგენტის იარლიყის მიკერებას არ შეუშინდა და რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ფონზე მოძმე ერებს შორის ურთიერთობის აღდგენის შესახებ სალაპარაკოდ რუსეთში ჩავიდა.**

**„სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ვიზიტით კმაყოფილია. განსაკუთრებით კარასინთან შეხვედრით, რასაც რუსი ჟურნალისტის შეკითხვა მოჰყვა, რა გაძლევს კმაყოფილების საბაბსო? როგორც ოპოზიციონერი განმარტავს, შეხვედრა მისივე ინიციატივით შედგა, რომელსაც სავარაუდოდ არც მინისტრი და არც კიდევ უფრო მაღალი თანამდებობის პირები არ შეეწინააღმდეგნენ. ნოღაიდელი საკუთარი წინადადებით საგარეო საქმეთა სამინისტროში არ მისულა და რაიმე კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა, მაგრამ ის მაინც კმაყოფილია, რადგან შემდგომი მოლაპარაკებებისთვის ერთი ქვა დადებულია. მან კარასინს მხოლოდ საკუთარი შეხედულებები და მოსაზრებები გაუზიარა ზოგადად საქართველო-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ.**

**„საქართველოს რესპუბლიკის" კითხვაზე — არის თუ არა რუსეთი მზად რაიმე სახის დათმობისთვის სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, ან მის შემდეგ, ნოღაიდელმა უპასუხა: „მე აქ რალაც პარალელური მთავრობის სტატუსით არ ჩამოვსულვარ. თუმცა რუსეთის პოზიციის შერბილებას ველოდები, მაგრამ კონკრეტულად რისთვის არის რუსეთი მზად, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ არც სააკაშვილი ცდილობს რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგს და არც რუსეთი იკლავს თავს". ნოღაიდელი აცხადებს, რომ ის კვლავ აპირებს კარასინთან შეხვედრას, ოღონდ ამჯერად კონკრეტულ საკითხებს წაიღებს თბილისიდან და ასე ხელცარიელი არ ჩავა.**

**რაც შეეხება ქართულ, ოს და აფხაზ დიასპორასთან შეხვედრას, ექსპრემიერი ამბობს, რომ მართალია, მოსკოვში ამ ხალხებს შორის სრული ჰარმონია სუფევს, მაგრამ ეს არ ეხება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს, რომელთა შორის მუდმივად არის დაძაბულობა. ნოღაიდელის მტკიცებით, დიასპორასთან შეხვედრაზე უპირველესად ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამოიკვეთა — ეს არის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ძალადობის განუახლებლობის გარანტიის მიღება, რადგან მათ ომის ხელახალი დაწყების ისევ ეშინიათ. აფხაზები და ოსები უნდა დავიბრუნოთ, — ეს არის ოპოზიციონერის მთავარი პრიორიტეტი. მისი აზრით, აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა. ასევე სატრანსპორტო მიმოსვლის განახლება, რაც ნდობის გაჩენას ხელს შეუწყობს. რატომ არ აკეთებდა იმავეს პრემიერობის დროს? — ნოღაიდელმა უპასუხა: „არ ვფიქრობ, რომ ცუდი პრემიერი ვიყავი, უბრალოდ მაშინ სხვა გარემოებები არსებობდა".**

**რუსეთის დიდი ფაქტორის მიუხედავად, ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ საქართველოს გაერთიანების მთავარი ხაზი ოსებსა და აფხაზებზე გადის. რაც შეეხება რუსეთს, რა თქმა უნდა, მათთან ამ საკითხზე ლაპარაკი აუცილებელია. ტექნიკური მექანიზმების პოვნა და დინამიური ქმედებები შედეგებამდე მიგვიყვანს, — იმედოვნებს ნოღაიდელი.**

**ვიზიტს გამჭვირვალე და ლეგალური ხასიათი ჰქონდა, რომელიც ოპოზიციასთან წინასწარ იყო შეთანხმებული, ამბობს „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი, — რაც შეეხება ხელისუფლებას, ის, რა თქმა უნდა, შეეცდება ამ შეხვედრაში რაღაც სკანდალური მიზეზების პოვნას, მაგრამ არ გამოუვათ.**

**ნოღაიდელი ქართველი ჟურნალისტებისგან ლოთი ქობალიას შესახებ დასმულ კითხვებს ვერ აცდა. თუმცა არა პირდაპირ, მაგრამ აღნიშნა, რომ თანაპარტიელის უდანაშაულობაში დარწმუნებულია და რომ ქობალიას ჟურნალისტი ბოლქვაძე**



**არ მოუკლავს: „ლოთი ქობალია მკვლელი არ არის — ეს ვიცი. სააკაშვილი იმან გაალიზიანა, რომ სამეგრელო წავართვით და ჯიბეში ვერ ჩაიდებს", — აღნიშნა მან.**

**ასეთი იყო მოკლედ ნოღაიდელის რუსეთული შთაბეჭდილებები, რომლებზეც კიდევ უფრო დეტალურად, ალბათ, სამშობლოში ილაპარაკებს.**

**თეა მოსია**

**ეკოლოგია**

# მინისტრმა პესტიციდები შეაგროვა



**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი შიდა ქართლში იმყოფებოდა.**

გოგა ხაჩიძემ სოფელ ოკამში ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეფუთვასა და უსაფრთხო განთავსებაში მიიღო მონაწილეობა.

ექვს სხვადასხვა ობიექტზე დაახლოებით 60 ტონამდე შეგროვებული პესტიციდი რამდენიმე დღეში საგარეჯოს რაიონში სპეციალურად მოწყობილ საწყობში უსაფრთხოდ განთავსდება.

პესტიციდების გაუვნებელყოფის პროცესის ყველა ეტაპი, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მოთხოვნების დაცვით ტარდება.

პროექტის ფარგლებში 25 ადამიანი დასაქმდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 112 000 ლარი დაიხარჯა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

განსჯა



***ამერიკის საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე, ქართულ საზოგადოებაში ეკლესიის როლზე, ეკლესიასთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაპირისპირების აშკარად პოლიტიკური ხასიათის მიზეზებზე, აგრეთვე, იმაზე, მართლა იპოვა თუ არა ეკლესიის სახით რუსეთმა საქართველოში პოლიტიკური დასაყრდენი, რამდენად დიდია ალბათობა, რომ მართლმადიდებლობა და რუსეთთან ერთმორწმუნეობა ქვეყნის საგარეო ვექტორის შეცვლის საფუძველი გახდეს, „ინტერპრესნიუსი" ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა.***

# რევოლუციას თუთბერიძეები ყოველთვის მოჰყვებიან, რადგან მათი ამოცანა ფუნდამენტურ ფასეულობებზე იერიშის მიტანაა

**— ბატონო ნოდარ, ამერიკის საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ პოლიტიკურ წრეებში დიდი აჟიოტაჟი და უკმაყოფილება გამოიწვია. თქვენ თუ სარგებლობთ ამ ინსტიტუტის კვლევების შედეგებით და რამდენად სანდოდ მიიჩნევთ მათ?**

— ვსარგებლობ და შემიძლია ვთქვა, რომ ეს ინსტიტუტი სერიოზული დაწესებულებაა, კვლევების ჩატარებისას მიღებული სტანდარტებით ხელმძღვანელობს. მე არც გამკვირვებია, რომ ამ ორგანიზაციის კვლევებით ხელისუფლება რეიტინგს ინარჩუნებს. არა იმიტომ, რომ ხელისუფლება კარგია, ძლიერია ან არ ცდება და ასე შემდეგ, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიციის სტრატეგია არ იყო მთლად დახვეწილი, რის გამოც, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ოპოზიციამ ბევრი ვერაფერი მოიგო, მათ შორის — პრეზიდენტის იმიჯის რეიტინგის დაგდების თვალსაზრისით.

ლოზუნგები — „მიშა წადი"! „მიშა მაგარიას"! საპირისპირო შემოძახილი კი იყო, მაგრამ ორივე ეს მოწოდება ერთმანეთის დუბლიკატი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოწოდების შინაარსი ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ამ მოწოდებების ავტორები ოდიოზურ ადამიანებად ისე იქცნენ, რომ არც მიშა წასულა და არც მათ მომატებიათ რაიმე, პრეზიდენტი კი ძალაუფლებას ინარჩუნებს. ფიზიკის კანონია: მოქმედება იწვევს უკუქმედებას. ორივე პოზიცია — მიშა მაგარია! და მიშა წადი! მიშას ტახტზე ჯდომას ხელს უწყობს

**— ბატონო ნოდარ, ეკლესიას რომ ხალხი მიუბრუნდა, ფაქტია, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად აქტუალურია საქართველოში რელიგიური თემა? რამდენად უკავშირდება ქართული იდენტურობა მართლმადიდებლობას?**

— ეკლესიისადმი ხალხის შემობრუნების პროცესი 80-იან წლებში დაიწყო და ეს საერთოდ დადებითი მოვლენაა, ვინაიდან საკუთარ ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს, მაგრამ, მეორე მხრივ, სხვა ტენდენციებიც არის — თუკი საკუთარ ფესვებს უბრუნდები, მაშინ შენი სამშობლოდან რატომ გარბიხარ და შენს სამშობლოს რატომ ქურდავ, ანადგურებ და ანიავებ? ამ ორი ფაქტის წინააღმდეგობრიობა იმაზე მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს რელიგიისადმი ზერელე, რიტუალურ, მონათვლის დონეზე შემობრუნებასთან. ვერ იტყვი, რომ მოხდა რელიგიისადმი სიღრმისეული შემობრუნება და შეიცვალა საზოგადოების მსოფლაღქმა. ადამიანები ეკლესიას რომ ჩაუვლიან, პირჯვარს კი იწერენ, მაგრამ ეს უფრო წეს-ჩვეულებების დაცვაა, ვიდრე — რელიგიურობა. წეს-ჩვეულებების დაცვასთან კი გვაქვს საქმე, მაგრამ ამას რელიგიურობის სულისკვეთებას ვერ დავარქმევთ.

რაც შეეხება იმას, რამდენად განსაზღვრავს მართლმადიდებლობა ქართულ იდენტურობას. ცხადია, განსაზღვრავს, როგორც ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა განსაზღვრავენ სხვა ერების იდენტურობას, თუ გნებავთ იგივე რუსების, უკრაინელების ან სერბების. მართლმადიდებლობით აპელირებდა სერბეთის პრეზიდენტი მილოშევიჩი, მაგრამ გვახსოვს, მან როგორ დაამთავრა.

ცხადია, ჩვენი იდენტურობა მართლმადიდებლობას უკავშირდება და კარგიც არის, რომ უკავშირდება, რადგან ეს საუკუნოვანი ტრადიციებია. მაგრამ ჩვენ ახლა ცვალებად სამყაროში ვცხოვრობთ და სულ ამ იდენტურობით სიარული შესაძლოა, მთლად რეალისტური არც იყოს. ამაზე ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი საუბრობდა, რომელმაც კათოლიკობა მიიღო. იმას კი არ ვამბობ, რომ ადამიანებმა რწმენა გამოიცვალონ, მაგრამ საეჭვოა ის დებულება, რომ დაიბადე და მუდმივად იქნები მართლმადიდებელი. რწმენა, როგორც ბევრი სხვა ღირებულება, დაკავშირებულია პირად არჩევანზე. იდენტურობა განსაზღვრულია ისტორიულად, მართლმადიდებლობით და ეროვნული მიკუთვნებულობის კუთხით, მაგრამ ვიმეორებ, რწმენა პირად არჩევანზეა დამოკიდებული.

მეორე მხრივ, იგივე ქართველთა იდენტურობა მარტო მართლმადიდებლობით არ შემოიფარგლება. აჭარლები ერთ დროს იყვნენ მართლმადიდებლები, ნაწილი ახლაც მუსულმანია, ჩვენ გვყავს ქართველი კათოლიკეები; მართალია, ისინი უმცირესობა არიან, მაგრამ იდენტურობისთვის უმცირესობასა და უმრავლესობას მნიშვნელობა სულაც არა აქვს. უმრავლესობის იდენტურობა არ ნიშნავს უმცირესობის იდენტურობის გადაფარვას.

ჩემი აზრით, ქართული იდენტურობა, უფრო მძლავრად ენასთან არის დაკავშირებული. ფორმულაში — ენა, მამული, სარწმუნოება, — ძალიან მნიშვნელოვანია თანმიმდევრობა. ილია ჭავჭავაძემ ამ ფორმულის შედგენისას ენა წინა პლანზე შემთხვევით არ დააყენა. აჭარლებმა მუსლიმანობა მიიღეს, მაგრამ ენა არ დაკარგეს. ამის საპირისპირო მაგალითია წალკელი ბერძნების შემთხვევა. მათ მართლმადიდებლობა შეინარჩუნეს, მაგრამ თურქულ ენაზე საუბრობდნენ. სხვადასხვა ერს თავისი იდენტურობის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებები აქვს. როგორც ეტყობა, იდენტურობის თვალსაზრისით ქართველს ენასთან უფრო მეტი მიკუთვნებულობის და საყრდენის გრძნობა აქვს. ბუნებრივია, რომ ქართული იდენტურობა მართლმადიდებლურ რელიგიას უკავშირდება, მაგრამ, ჩემი აზრით, ქართული იდენტურობა უფრო მეტად ჩვენი ყოფიერების ენობრივ პლასტებს უკავშირდება. ფილოსოფოსი ჰაიდეგერი ამბობდა, ჩვენი ყოფიერების სავანე ენააო, მეორე ფილოსოფოსი ვიტგენშტაინი ამბობდა — ჩემი ყოფიერების საზღვრები ჩემი ენის საზღვრებიაო. ეტყობა, ენა უფრო მეტად განსაზღვრავს ეროვნულ იდენტურობას.

**— ძნელია, „თუთბერიძის ინციდენტი" მხოლოდ სიტყვის თავისუფლების ჩვეულებრივ გამოვლინებად მივიჩნიოთ. უდავოა, რომ ამ დაპირისპირებას აშკარად პოლიტიკური ხასიათი აქვს...**

— რაც შეეხება პატრიარქისადმი ხალხის დამოკიდებულებას, სრულიად კანონზომიერია მისადმი მოწიწება და მოკრძალება, რადგან უწმინდესი ამას იმსახურებს, არა მარტო იმიტომ, რომ უმაღლესი სასულიერო ოფიციალური პირია, არამედ — როგორც პიროვნება. მაგრამ მისადმი დამოკიდებულებაც საზეიმო და ერთგვარად კარნავალურ ხასიათს ატარებს. მოსახლეობის სურვილი, დაინახოს პატრიარქი პოლიტიკურ სარბიელზე, იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოება თავად ახდენს საეკლესიო და პოლიტიკური ცხოვრების აღრევას.

ჩემი აზრით, თუთბერიძე, „კმარელები" და „თავისუფლების ინსტიტუტის" ხალხი რადიკალები არიან. მათ მოსამართლეების ფიტულები დაწვეს, მართალია, თუთბერიძე მაშინ იქ არ იყო, მაგრამ იგივე პერსონაჟია, რომელიც ამას იზიარებს, ანუ მათ შეუძლიათ რეფორმებისთვის ადამიანის სიმბოლურ მკვლელობაზე წასვლა. როცა ცოცხალი ადამიანის ფიტულს წვავ, მას პრაქტიკულად ანადგურებ.

იხ. 4 გვ.

მოსაზრება



***ჯერ კიდევ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი კონსტანტინე გამსახურდია რამდენიმე კვირაში დეპუტატი გახდება. მისთვის პარლამენტში კაბინეტს უკვე ამზადებენ. „ქუჩაში დაკარგული" წელიწადნახევრის შემდეგ მომავალი პარლამენტარი საკანონმდებლო ორგანოში სწორედ იმ ინიციატივებით აპირებს შესვლას, რომელიც ხელისუფლებას პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მიტინგებიდან არ ესმოდა.***

***როგორ უნდა შეფასდეს პარლამენტში გამსახურდიას დაბრუნების გადაწყვეტილება მით უფრო იმ ფონზე, როცა ის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული იყო ბაღათურიას, ცაგარეიშვილის, თორთლაძის, დავითაიას და იმ ოპოზიციონერი დეპუტატების მიმართ, რომლებმაც თავის დროზე საპარლამენტო მანდატების დახევაზე უარი თქვეს, „ჯი-ეიჩ-ენი" პოლიტოლოგ ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა...***

# ოპოზიციამ ფრონტის ხაზი მხოლოდ ქუჩაში არ უნდა გაავლოს — ვიღაც უნდა შევიდეს პარლამენტში, ვიღაცამ ხელისუფლებასთან ილაპარაკოს...

— პოლიტიკაში ყველაზე დიდი სასწორი საზოგადოებრივი აზრი და რეიტინგია. ამიტომ, როდესაც პოლიტიკოსი რაიმე ნაბიჯს დგამს, ის, ჩემი აზრით, უპირველესად უნდა ფიქრობდეს იმაზე, რა რეაქცია ექნება საზოგადოებას, როგორი იქნება მის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგები, რამდენად იქნება საზოგადოება მისი გადაწყვეტილების მხარდამჭერი ან მოწინააღმდეგე. აქედან გამომდინარე, ბატონი გამსახურდიას გადაწყვეტილება მაღალი პოლიტიკური რისკის მატარებელია, რადგან ვფიქრობ, რომ პარლამენტში დაბრუნების თაობაზე მის ამჟამინდელ პოზიციას მაინცდამაინც მხარდაჭერა არ მოჰყოლია. საზოგადოება, როგორც გამოჩნდა, მხარს უჭერს ერთიან ოპოზიციურ ძალას, გამსახურდიას ამ ნაბიჯით კი ირღვევა ერთიანობა და ეს უპირველესად, ცუდად თავად ამ უკანასკნელის პოლიტიკურ იმიჯზე იმოქმედებს.

**— თუმცა, კონსტანტინე გამსახურდია არ იყო პირველი, რომელმაც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია დატოვა...**

— დიახ, მაგრამ მისი ეს ნაბიჯი გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზანი დანარჩენ ოპოზიციასთან საერთო პოლიტიკური მიზნის — ხელისუფლების შეცვლის თანხვდენილია. ჩემი აზრით, ოპოზიციამ ფრონტის ხაზი არა მხოლოდ ქუჩაში უნდა გაავლოს — პარლამენტის შენობის წინ, არამედ უნდა მოხდეს მისი დივერსიფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ ვიღაცა უნდა შევიდეს პარლამენტში, ვიღაცამ ხელისუფლებასთან ილაპარაკოს, ვიღაცა ქუჩაში დადგეს, ვიღაცამ კი საერთაშორისო საზოგადოებასთან ისაუბროს. აქედან გამომდინარე, თუ კონსტანტინე გამსახურდიას ამ ნაბიჯს აქვს დანარჩენ ოპოზიციასთან საერთო პოლიტიკური მიზანი — მოხდეს ხელისუფლების ცვლა, მაშინ მისი ეს გადაწყვეტილება შეიძლება საზოგადოებამ პოზიტიურად მიიღოს და მეტიც, მისი რეიტინგი აიწიოს. მაგრამ თუ აღნიშნული ნაბიჯი განპირობებულია მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით და ის თუნდაც, ზვიად გამსახურდიას კომისიის შექმნის სანაცვლოდ იქნა მიღებული, მაშინ საზოგადოება ბატონ გამსახურდიას საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნებას არცთუ დადებითად შეხვდება, რისი შედეგიც სავარაუდოდ, არჩევნებშიც გამოჩნდება.

**— კონსტანტინე გამსახურდიამ უკვე დაადასტურა კიდეც, რომ პარლამენტში დაბრუნების გადაწყვეტილება სწორედ მას შემდეგ მიიღო, რაც საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნა გადაწყდა...**

— მაშინ, ეს ნიშნავს, რომ მას პირადული ინტერესი ამოძრავებს. პოლიტიკაში პირადულ ინტერესებს კი საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს და ეს სამართლიანიცაა — ადამიანი პარლამენტში არა საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ იმ პრობლემების მოსაგვარებლად უნდა შედიოდეს, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. ამით, რა თქმა უნდა, არ მინდა ვთქვა, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტის გამოძიება საზოგადოების ინტერესში არ შედის, მაგრამ ამისთვის შეიძლებოდა გარედანაც ბრძოლა. გამოდის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის შექმნა ვაჭრობის საგანი გახდა, ეს კი უკვე ვაჭრობაა — ბინძური ვაჭრობა პოლიტიკაში, რასაც საზოგადოება არასდროს ხვდება დადებითად...

**— რადგან ამ თემას შევეხეთ, როგორ ფიქრობთ, რამდენადაა მოსალოდნელი, რომ ამჯერად მაინც დადგინდება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზები?**

— მე არ ვარ კრიმინალისტი, რომ კომპეტენტური პასუხი გაგცეთ, მაგრამ ზოგადად მიმაჩნია, რომ სირცხვილია, როცა ქვეყანაში დიდი ადამიანები, მაღალი თანამდებობის პირები იღუპებიან, პრეზიდენტი იქნება ეს თუ პრემიერ-მინისტრი და ხელისუფლებაში წლების განმავლობაში არ ჩნდებიან ძალები, რომლებიც საზოგადოებას სიმართლეს ეტყვიან. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ ინტერესდება, რას ითხოვს ხალხი და არ ითვალისწინებს საზოგადოების აზრს, მის მოთხოვნას, არ გრძნობს თავს პასუხისმგებლად, ისტორიას სიმართლე უთხრას. ამ კონტექსტში, აღნიშნული თემით ვაჭრობით რაიმე პოლიტიკური ფონის შექმნა, იმის დემონსტრირება, რომ ხელისუფლებამ წარმატებას მიაღწია და კიდევ ერთი ოპოზიციონერი მოიპარა და შეიყვანა პარლამენტში, რითაც დემოკრატიული ფასადი შექმნა, ვფიქრობ, გონიერი ადამიანისთვის კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ხელისუფლება ქმნის არა დემოკრატიულ სამოქალაქო გარემოს, არამედ ვაჭრობაზე აგებულ მოჩვენებით დემოკრატიას, რაც ჩემთვის, პირადად, მიუღებელია.

იხ. 4 გვ.

მოსაზრება

# ოპოზიციამ ფრონტის ხაზი მხოლოდ ქუჩაში არ უნდა გაავლოს – ვიღაც უნდა შევიდეს პარლამენტში, ვიღაცამ ხელისუფლებასთან ილაპარაკოს...

(მესამე გვერდიდან)

**— თუმცა, „მოჩვენებითი დემოკრატიის შექმნის“ მიუხედავად, როგორც თქვენ აფასებთ, მიხეილ სააკაშვილს მაინც ყველაზე სასურველ ლიდერად აფასებენ, მმართველ გუნდს კი ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ორგანიზაცია IRI- ის კვლევის შედეგები, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა...**

— წარმოუდგენელია, ან სააკაშვილს ან მმართველ გუნდს მაღალი რეიტინგი ჰქონდეს. იმ შეცდომების უმეტესობა, რაც არსებულმა ხელისუფლებამ მისი მმართველობის პერიოდში დაუშვა, რიგ შემთხვევაში მიუტევებელია. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა საკმაოდ სერიოზული საფრთხე მოუტანა ჩვენს ქვეყანას, აღარ ვსაუბრობ არადემოკრატიულ გარემოზე, მედიის თავისუფლების შეზღუდვაზე, უკანონო პატიმრობაზე, მკვლელობებზე და ა.შ. არ მინდა ეჭვი შევიტანო ამ ორგანიზაციის ობიექტურობაში, მაგრამ მგონი, მე უფრო ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე, ვიდრე რომელიმე ამერიკული ფონდი თუ ორგანიზაცია. ამ რეიტინგს არ ვეთანხმები, არა იმიტომ, რომ მინდა, ან არ მინდა დავეთანხმო, უბრალოდ, ჩემს გარშემო ვერ ვგრძნობ იმას, რომ ეს რეიტინგი თუნდაც ახლოს იყოს რეალობასთან. ამ შემთხვევაში, რეიტინგებით თამაშთან გვაქვს საქმე. ეს რეიტინგები ან მიკერძოებულია, ან ვერ არის ტექნოლოგიურად ისე გამართული, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების ადეკვატური სურათი შექმნას.



**— საპროტესტო აქციების მორიგ ტალღაზეც მინდა გკითხოთ. ე.წ. რადიკალური ოპოზიცია ნოემბრიდან კვლავ ქუჩაში აპირებს გასვლას. ამდენი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იმედგაცრუების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, ისევ გავა ხალხი ქუჩაში?**

— მე ყოველთვის ვამბობ, რომ ყველაზე ძლიერი ძალა ქვეყანაში კარგად ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოებაა. საზოგადოება არის დამკვეთი, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციური ძალებისთვის — ვინც უფრო კარგად გაიგებს საზოგადოების ინტერესებს და ტკივილს, ვფიქრობ, ის იქნება გამარჯვებული.

**— ახლა რა დაკვეთა მოდის საზოგადოებისგან — ქუჩა თუ დიალოგი?**

— ეს გამოჩნდება. თუ ოპოზიციური ძალები, რომლებიც ქუჩაში არ აპირებენ გასვლას, დაინახავენ, რომ საზოგადოების დაკვეთა არის ქუჩაში ყოფნა და პროტესტის გამოხატვა, ვფიქრობ, ისინი პოზიციას შეიცვლიან და ქუჩას დაუბრუნდებიან, მაგრამ თუ საზოგადოება არ გავა ქუჩაში და მას არ ექნება ძალის დემონსტრირების ფორმა, ამ შემთხვევაში, ცხადია, იმ ოპოზიციური ძალებისკენ გადაიხრება სიმპათია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ არ ღირს ქუჩაში გასვლა. ამიტომ, ნოემბრის აქციები იქნება კარგი ინდიკატორი იმისა, თუ რა დაკვეთა აქვს საზოგადოებას.

**— როგორ ფიქრობთ, გაზაფხულზე დაწყებული ოთხთვიანი მიტინგებიდან თუ მიიღო ხელისუფლებამ რაიმე გაკვეთილი, რაც კონკრეტული შედეგის სახით გამოჩნდა?**

— კი — ხელისუფლების პოლიტიკის ლუსტრირება მოხდა. ხელისუფლებამ ღიად განაცხადა, რომ ის არ არის მზად, მხარი დაუჭიროს ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს, მას არ შეუძლია წავიდეს რაიმე კომპრომისზე, რადგან ის არის მისი ძალაუფლების შემასუსტებელი. 4 თვის აქციების შემდეგ, ზაფხულის პერიოდში ხელისუფლებას ჰქონდა შანსი, საკუთარი ინიციატივებით გამოესწორებინა ის პრობლემები, რის გამოც ხალხი ქუჩაში იყო გასული — ეს შეეხებოდა უკანონო დაპატიმრებებს, პოლიტიკურ ტერორს, სხვა სფეროებს, სადაც ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ, სამწუხაროდ, საპირისპირო მივიღეთ.

ხელისუფლება ებრძვის არა მიზეზებს, რის გამოც ხალხი ქუჩაში გადის, არამედ შედეგებს. ხელისუფლებამ პრობლემად დაინახა არა ის, რომ არადემოკრატიულმა გარემომ, თავისუფლებებისა და უფლებების შეზღუდვამ ხალხი გარეთ გაიყვანა, არამედ პრობლემად შეაფასა ის, რომ ხალხი ქუჩაში გავიდა და, შესაბამისად, მიიღო კანონი მანიფესტაციების გამართვის უფლებების შეზღუდვის შესახებ.

**— და ბოლოს, ბატონო ირაკლი, რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ფილმზეც მინდა გკითხოთ, რომლის გადაღებაც საქართველოში რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს...**

— სამწუხაროდ, ფილმის შინაარსი ჩემთვის უცნობია, მაგრამ არ მინდა, ეს ფილმი გამოკვეთილად პროქართული გამოვიდეს, რამდენადაც ამან, შესაძლოა, საპირისპირო შედეგი მოგვიტანოს. მაგრამ თუ ეს იქნება ობიექტური ფილმი, კარგი ნამუშევარი, ვფიქრობ, ის ნამდვილად წაადგება საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთ-საქართველოს ომზე პოზიციის ჩამოყალიბებაში. მსოფლიოში ძალიან ბევრი არ წაიკითხავს ტალიავინის კომისიის დასკვნას, მაგრამ ნახავს ფილმს და ამით უფრო მეტად ინფორმირებული იქნება იმის თაობაზე, თუ რა მოხდა ჩვენი ქვეყნის წინაამდეგ სინამდვილეში.

ამ შემთხვევაში, მე მაქვს პოზიტიური მოლოდინი, რომ ეს ფილმი მნიშვნელოვან პოზიტიურ იმიჯს შეუქმნის ჩვენს ქვეყანას და საპირისპიროს მოუტანს რუსეთის ფედერაციას.

ესაუბრა
**ლელა ბაღდავაძე**

განსჯა

# რევოლუციას თუთბერიძეები ყოველთვის მოჰყვებიან, რადგან მათი ამოცანა ფუნდამენტურ ფასეულობებზე იერიშის მიტანაა

(მესამე გვერდიდან)

ამ ადამიანთა ჯგუფში და პოლიტიკოსებში, რომლებიც რადიკალები არიან, ეს სულისკვეთება არსებობს. მათი შედარება შეიძლება რობესპიერთან და მარატთან, რომლებმაც მემარცხენეები დახოცეს. ახლა ესენი ამ დონის ადამიანები, რა თქმა უნდა, არ არიან, მაგრამ მათში რომ ეს სულისკვეთება არსებობს, უდავოა.

თუთბერიძის კლიპს სერიოზულ რამედ არ ვაფასებ და აჟიოტაჟიც ამაზე არასერიოზულია. ეს არის მცდელობა, პატრიარქს, რომლის ავტორიტეტი ქმედითია, ქმედითობა გამოაცალოს. მათი მოქმედება თავისი ბუნებით მკვლელობითია. ამგვარი მოქმედება იმ ადამიანებს ახასიათებს, ვინც თავისი არსით, ივანე კარამაზოვისა და პავლე მოროზოვის მსგავსად, მამის მკვლელები არიან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი საზოგადოება საკმაოდ ჭრელია. რას იზამ, ალბათ ასეთი ხალხიც უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ გამოგაფხიზლოს. ეს იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ მწარე და საშიში რამ არის რევოლუცია, გინდ „ვარდების“ ყოფილა და გინდ — „კაქტუსების“. რევოლუციას თუთბერიძეები ყოველთვის მოჰყვება, რადგან მათი ამოცანა ფუნდამენტურ ფასეულობებზე იერიშის მიტანაა.



**— თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ბრალდებები, რომ რუსეთმა საქართველოში ეკლესიის სახით პოლიტიკური დასაყრდენი იპოვა, რომ ეკლესიაში მრავლად არიან ყოფილი „მხედრიონელები“ და უშიშროების აგენტები?**

— მართალი გითხრათ, ამ საკითხში კომპეტენტური არა ვარ. არ ვიცი, სტატისტიკურად საეკლესიო წრეებში რამდენი ყოფილი „მხედრიონელია“, მაგრამ მე ვეყრდნობი ფაქტს, როცა 2008 წელს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია განახორციელა, რუსეთში პირველი, ვინაც ამის წინააღმდეგ გაილაშქრა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი ალექსი მეორე იყო. იგი დაუპირისპირდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობას. რუსულმა ეკლესიამ ანტიოკუპაციური პოზიცია დაიკავა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმისა, თუ რა პოტენციალი აქვს კონფესიათა შორის ურთიერთობას. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ეკლესია რუსეთის საყრდენი, ცხადია, რუსეთს საქართველოში თავისი საყრდენები თავისი აგენტების სახით ჰყავს, ამერიკასაც ეყოლება და სხვა ქვეყნებსაც, მაგრამ საეჭვოა, ეს ფუნქცია მაინცდამაინც მართლმადიდებლობას დააკისრო და მართლმადიდებლობას ამ კუთხით შეხედო. მართლმადიდებელი ეკლესია მუშაობს ხალხთან, აქვს შესანიშნავი დამოკიდებულება მრევლთან იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანებს არა მარტო რელიგიას აცნობენ, არამედ ეხმარებიან, საკმაოდ ინტეგრირებული არიან საზოგადოებასთან თანაცხოვრების თვალსაზრისით და სამეურნეო საქმიანობაშიც არიან ჩართული.

შესაძლოა, ვიღაც ფულს ათეთრებს ეკლესიების მშენებლობაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეშმაკს ყველგან აქვს ფეხი გადგმული და ამისაგან ჩვენი ეკლესია რომ იყოს თავისუფალი და გამონაკლისი, ძალიან გამიკვირდებოდა. საკითხავია, ეს რამდენად არის ეკლესიის და არა საზოგადოების, ვინაიდან ეს სხვა ტიპის პრობლემაა. ეს ისეთივე რამ არის, რომ მახინჯი შვილისგან არც ერთი ოჯახი არ არის დაზღვეული.

**— რამდენად დიდია ალბათობა იმისა, რომ მართლმადიდებლობა და რუსეთთან ერთმორწმუნეობა ქვეყნის საგარეო ვექტორის შეცვლის საფუძველი გახდეს?**

— ვერ ვიტყოდი, რომ მაინცადამაინც საფუძველი გახდება, მაგრამ ერთ-ერთი ფაქტორთაგანი შეიძლება გახდეს. შეიძლება კი არა, დარწმუნებული ვარ, იქნება, რატომაც არა.

კონფლიქტის გადაწყვეტის ძირითადი სტრატეგია კატეგორიულად მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიმართულებით იცის — ეძებს საერთო ინტერესებს და დაეყრდენი მათ მოლაპარაკებების დროს. საერთო ინტერესები სარწმუნოებრივი კუთხით ქართველებსა და რუსებს ბევრი აქვთ. რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი და არ გამოვიყენოთ კიდევაც? მე არ ვიტყვი, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგრამ მაინც.

საგარეო ვექტორზე საუბარი ცოტა მიჭირს, ვინაიდან საგარეო პოლიტიკის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ მივიჩნევ, რომ მშვიდობა და წინსვლა იწყება არა საგარეო, არამედ საშინაო პოლტიკიდან, ანუ შენ პირველ რიგში საკუთარ თავთან უნდა იყო მართალი. პოლიტიკა უნდა ააგო გამომდინარე შენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, მაგრამ შენი ძირითადი საზრუნავი სახელმწიფო კი არ უნდა იყოს, არამედ კონკრეტული მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ამ სახელმწიფოში. სახელმწიფო უნდა არსებობდეს ადამიანისათვის და არა ადამიანი სახელმწიფოსთვის. თუ ვექტორი აქეთკენ შეიცვლება, მხოლოდ კარგი იქნება.

როცა საუბარია ინსტიტუციონალიზაციაზე, ეს ნიშნავს, რომ იგი არის საშუალება, ადამიანების კეთილდღეობის დონე ამაღლდეს. ამიტომ, ჩემი აზრით, თუ სახელმწიფოში ცენტრალური ღირებულება არ გახდა ორი რამ — ადამიანი და ადამიანის კეთილდღეობა, ჩვენ იგივე სიტუაციაში ვიქნებით და ხან რას გავაკეთებთ და ხან — რას. ფრაგმენტაციის დონე ხან მაღალი გვექნება, ხან - შედარებით მსუბუქი. ახლა რომ ქვეყანა დაშლილია ტერიტორიებად, ფაქტია. ტერიტორიული მთლიანობის ცნება ნელ-ნელა დაკარგავს თავის აქტუალობას. ჩვენ ტერიტორია კი არა გვაქვს დასაბრუნებელი, არამედ ის ხალხი, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. ჩვენ ხალხის დაბრუნებაზე უნდა ვილაპარაკოთ და არა ტერიტორიების დაბრუნებაზე. გეოგრაფიული ფაქტორიდან ადამიანურ ფაქტორზე უნდა გავიდეთ. ამ შემთხვევაში სხვა პოლიტიკის აუცილებლობის დრო დადგება. ამას კი რადიკალური, კონცეპტუალური შემოტრიალება უნდა. მენტალიტეტი და იმავდროულად პოლიტიკური ნებაც უნდა შეიცვალოს და თანაც ბევრი რამ სხვანაირად წარიმართოს. ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია, მოქალაქეც სხვაგვარად აზროვნებდეს.

სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა უმეტესობა პოპულისტია, მათ შორის — ჩვენი ხელისუფლებაც. ხელისუფლება მოსახლეობის ლატაკი ფილოსოფიით სარგებლობს. ჩვენთან სიღატაკე მატერიალური პრობლემა კი არ არის, ჩვენი მოსახლეობა, ფინანსურის გარდა, ლატაკი წარმოდგენების მსხვერპლია. ლატაკი მსოფლმხედველობა და განცდა სათაყვანებელ კერპად სახელმწიფოს აქცევს. ის, რომ სახელმწიფო არ არის მთავარი, ეს დილემა დასავლეთმა დიდი ხანია, დაძლია. ადამიანია მთავარი და არა სახელმწიფო იმ ქვეყნებში, სადაც ძირითად ფასეულობად ადამიანია აღიარებული. ვიდრე აქეთკენ არ შემოვბრუნდებით, ვერც ევროკავშირში შევალთ და ვერც — სხვაგან. დემოკრატიაზე რომ ბევრს საუბრობენ, ეს ადამიანისთვის არის საჭირო. ჩვენი ხელისუფლება კი, ადამიანებს მხოლოდ ამომრჩევლებად განიხილავს. ადამიანი მათთვის ხმის მიმცემი სუბიექტია, ესენი დეჰუმანიზებულ საზოგადოებას ქმნიან, რომელშიც ადამიანის ადგილი არ არის. ამიტომაც არის, რომ ჩვენთან მიგრაციის დონე ძალიან მაღალია. ვითარებაში, როცა საქართველოდან ქართველები გარბიან, საკითხავია, გაქვს კი უფლება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ვიფიქროთ?

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## ხაჯიმბამ და ბუთბამ ერთმანეთს დასცხეს

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას ინფორმაციით, რაულ ხაჯიმბასა და ბესლან ბუთბას შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.**

**— აფხაზეთის ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს შორის უთანხმოება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ჩვენი ინფორმაციით, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა რაულ ხაჯიმბასა და ბესლან ბუთბას შორის, — განაცხადა ბარამიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე, რომლის შეფასებითაც, აფხაზეთში პოლიტიკური ფონი დღითი დღე იძაბება.**

**ამასთან, ბარამიას ინფორმაციით, რუსულმა მხარემ აფხაზეთში ე.წ. არჩევნების გასაშუქებლად „დიდი რაოდენობით ჟურნალისტები ჩაიყვანა“.**

ჯი-ეიჩ-ენი

ხედვა

# თქვენ მოგიწევთ, გემო გაუსინჯოთ საკუთარ ჰალსტუხებს, ამბობს კოსაჩოვი

**თანამედროვე რთული ვითარება, დაძაბული პოლიტიკური რითმი, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეები არა მარტო სწრაფ, არამედ საზრიან რეაგირებას მოითხოვს. შეუხებლობის, დაცულობის პერმანენტული გარანტია ნამდვილ ევროპაშიც საეჭვოა, არათუ ევროპად წოდებულ კავკასიაში. საფრთხეში არა მარტო პოლიტიკურ-სამხედრო, არამედ გეოგრაფიულ-დემოგრაფიული, ისტორიულ-რელიგიური, ლიტერატურულ-კარტოგრაფიული და თუნდაც ლინგვისტური ვითარება იგულისხმება. საქართველოს ზოგიერთი მეზობლის „ღრმადგანსწავლული“ მეცნიერის მიერ საზღვარგარეთ გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, ლამის ქართული კულტურისა და სულიერების ძეგლების უმრავლესობა სომხური წარმოშობისაა, სამცხე-ჯავახეთიც სომხურია და თბილისიც „დიდი სომხეთის“ რუკაზეა მოქცეული.** სამწუხაროდ, მეზობელთა სისტემურ ძალისხმევას ჯერაც არ გასცემია დამაჯერებელი, ისტორიულ საძირკველზე მყარად მდგარი, აკადემიური პასუხი — ნიშნის მოგებისგან, ფსევდოპატრიოტიზმისგან შორს მყოფი, უფრო მეტად შინაურთა გულს რომ ფხანს, ხოლო გარეულებს გულს რომ არ „უტოკებს“. არადა, კომუნიკაციების უსაზღვროდ განვითარებულ ეპოქაში, ინტერნეტის სიკეთეებით აღსავსე სამყაროში, ძნელია იმის მტკიცება, რომ პასუხი მიზანს ვერ მიაღწევს. განა უშედეგოდ ჩაითვლება ინტერნეტში უცხო ენებზე გამოქვეყნებული პასუხი? პარალელურად ადრესატისათვის წერილობით მიმართვა ფოსტის შესაძლებლობების გამოყენებით? ან ადრესატის ქვეყნის ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნება?

პასუხის საჯარო გახმოვანების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ მოიკოჭლებს სურვილი. ადგილობრივ პრესაში იშვიათი გულის ფხანა დიდი ვერაფერი შეღავათია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამასაც კი არ მიმართავენ ქართველი პოლიტიკოს-მეცნიერები. **მოქარბებული სიზარმაცის, უდარდელობის, ნიჰილიზმის ატმოსფერო ტრიალებს ჩვენს თავს, რაც ნაკლებად დასამშვიდებელია. უპასუხოდ დარჩენილ არაობიექტურ სტატიასა თუ განცხადებას ეჩვევა მკითხველ-მსმენელი, თვალი და ყური, ფეხს იკიდებს მეხსიერებაში. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ერთზე გავამახვილებ ყურადღებას — ევროპის საბჭოს პარლამენტის ასამბლეაზე რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის კონსტანტინე კოსაჩოვის გამოსვლაზე,** ზომიერებით ცნობილი დუმის კომიტეტის თავმჯდომარის გამოსვლა იმ სიმძაფრით იყო გაჟღერებული, რომელიც გაცილებით მეტ ეფექტს ახდენს არა მარტო დარბაზში მყოფ ევროპარლამენტარებზე, არამედ დარბაზს გარეთაც. ორატორის გალიზიანებული ნათქვამი დამსწრეთა ყურს უფრო მოხვდა, ვიდრე ქართული დელეგაციის და მის მხარდამჭერთა ერთად აღებული გამოსვლები. **კოსაჩოვმა ევროპარლამენტარებს ის წითელი ნაჭერი აუფრიალა, რომელზეც ზედმიწევნით ღიზიანდებიან ისინი. ევროპა კარგა ხანია ათასგვარ ხერხს მიმართავს, რათა სტალინიზმი ფაშიზმთან გააიგივოს, ორივეს — საბჭოთა კავშირსაც და ფაშისტურ გერმანიასაც თანაბრად წაუყენოს დანაშაულის ბრალდება. კოსაჩოვმა მომგებიან ხერხს მიმართა და ამ შემთხვევაში, გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე პოპულარული მოღვაწე იმ კონტექსტში მოიხსენია, ევროპელთა სულსა და გულს რომ გაახარებდა. აი, რა თქვა კოსაჩოვმა: „საერთაშორისოდ აღიარებული საქართველოს საზღვრები არის სტალინის დანაშაულებრივი ქმედების შედეგი, რომელმაც საკუთარი სამშობლოს — საქართველოს შემადგენლობაში ძალით შეიყვანა ორი ხალხი. მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ როგორ ღეჭავდა თავის ჰალსტუხს ბატონი სააკაშვილი. ზეგ და შემდგომში, როდესაც განიხილავთ მორიგ ქართულ ინიციატივებს ჩვენი დელეგაციისთვის უფლებამოსილებათა შეწყვეტის თაობაზე, თქვენ მოგიწევთ, ზედიზედ გაუსინჯოთ გემო საკუთარ გამონასკვულ ჰალსტუხს, თქვენთვის სტალინის საქმის თანამედროვე გამგრძელებლების მიერ თავს მოხვეულს“.**

კოსაჩოვამდე, ჩვენთვისაც და სხვისთვისაც, ისტორიული თვალსაზრისით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიებად იყო ცნობილი და და არა რუსეთის. უფრო მეტიც, თურმე როგორც ამბობენ, სტალინამდეც ასე ყოფილა. და ამაზე მეტიც — თვით რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა იმ საზღვრებში აღიარა, რომელიც 2008 წლის აგვისტომდე იყო. არა მარტო აღიარა, 1992 წლიდან დაწყებული, საბედისწერო 7-8 აგვისტომდე დამთავრებული, სულ მუდამ აცხადებდა, რომ ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის თემა არახალია. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ღრმა ფესვები აქვს სეპარატიზმსაც. მისი პირველი აფეთქება საქართველოში საბჭოთა სისტემის დამყარებას ოდნავ უსწრებს წინ. საბჭოთა სისტემამ შეძლო ამ სულისკვეთების ჩახშობა. სოხუმ-ცხინვალს მოსკოვის ფაქტორიდან გამომდინარე თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში აღარ გასჩენია სხვაგვარად ლაპარაკის სურვილი, მაგრამ საბჭოეთის ერთიანობისათვის წყლის შეყენებამ კვლავ გამოიწვია მივიწყებული თემის რეანიმაცია. **ოფიციალური თბილისის სამწუხაროდ, მრავალ მიზეზთა გამო არ გადაიდგა საზრიანი, მოქნილი პოლიტიკურ-დიპლომატიური ნაბიჯი. ნაცვლად ამისა, თბილისმა ქართველო ხელი ხმალს იკარის მამაპაპისეულ ტრადიციას მიმართა, დაივიწყა რა საკუთარი ძალა (უფრო ზუსტად უძლურება), მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის მაჯისცემა, ანუ ის, რომ საკუთარი ხალხისათვის თავზე ყუმბარების დაყრა ახალ მსოფლიოში დანაშაულად აღიქმება.**



გამსახურდიას ხელისუფლების დროს უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილ კომისიას, რომელშიც მეცნიერებიც იღებდნენ მონაწილეობას, დაევალა სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შესწავლა. დასკვნის მიხედვით: **„ოსთა გადმოსახლებას საქართველოში, კერძოდ ქართლში, არსებითი მიზეზები ჰქონდა. ჯერ კიდევ მე-13-14 საუკუნეებში მონღოლმა და თურქმანული მოდგმის დამპყრობლებმა დაარბიეს და გაანადგურეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილთა ნაწილი კავკასიონის მაღალმთიან რაიონს შეეხიზნა, მაგრამ მწირი მთა მათი მოთხოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. სარჩო-საბადებლის მაძიებელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებისკენ იკვლევენ გზას“...**

**საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის მ. ოტატიშჩევის (1604-1615) გადმოცემით მახა(დვალეთში) და მაღრან-დვალეთი(დიდი ლიახვის სათავე) უკვე დასახლებული იყო ოსთა მიერ. 1770 წლის დემოგრაფიული აღწერის მიხედვით დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2860 კომლი ოსი ცხოვრობდა, აქედან 200 ქსნის ხეობაში, 800 — სამაჩაბლოში. თვით ცხინვალში მხოლოდ ქართველნი, სომეხნი და ურიანი ცხოვრობდნენ“.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ოსებს, სტალინამდე, საუკუნეებით ადრე, ფეხი ჰქონდა გადგმული ქართულ მიწაზე. სტალინის ძალისხმევა სულაც არ იყო საჭირო მათი ძალით საქართველოს შემადგენლობაში შეყვანისათვის.

ცხადია განსხვავებული, მაგრამ ჯამში ანალოგიური ვითარებაა აფხაზეთთან მიმართებაში. თვალი გადავავლოთ ლევან თოიძის „К вопросу о политическом статусе Абхазии (страницы истории 1921-31 г.г.ძ „უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება თავიდანვე რესპუბლიკური, საკავშირო ორგანოების, თვით აფხაზი მოღვაწეების მიერ აღიქმებოდა, როგორც დროებითი აქტი. სახელშეკრულებო რესპუბლიკა აფხაზეთი, ფაქტიურად განიხილებოდა, როგორც ავტონომია, საქართველოს შემადგენლობაში. 1922 წელს გამართულ პირველ საოლქო კონფერენციაზე აფხაზთა ლიდერმა ნ. ლაკობამ განაცხადა: „Когда мы, ответственные работники Абхазии, сказали нашим старшим товарищам по партии, что для того чтобы среди мелких народностеи, как например Абхазский, сохранить идею советской власти, нужно на одну минуту обьявить абхазию независимой республикой, лишь бы это помогло сохранению советской идеи, укреплению советского строя в этот крошечной абхазии. Советская Абхазия, просуществовав, как независимая республика говорит: Исторические и экономические условия требуют того, чтобы абхазия и грузия составляли одно целое“.

**აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქართველოს ავტონომიად გადაქცევამდე ნესტორ ლაკობას აღნიშნული სიტყვიდან ცხრა წელია. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მაშინ სტალინის ძალაუფლება ბოლშევიკურ პარტიაში, შედარებით მოკრძალებულია. ის ძალით ვერ ათქმევინებდა ამ სიტყვებს ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ლაკობას. ლაკობას სიტყვებიდან კარგად ჩანს, საით გადაიხრებოდა აფხაზეთი, რაც გაკეთდა კიდევაც 1931 წელს. სწორედ მაშინ გახდა აფხაზეთი ნაცვლად სახელშეკრულებო სოციალური რესპუბლიკისა, საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკა.**

ევროსაბჭოს ტრიბუნიდან გაკეთებული ხმაურიანი განცხადება უმალ საჭიროებდა რეაგირებას, მაგრამ მსგავსს ქართული დელეგაციისგან, როგორც ჩანს, ადგილი არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში ყური გვექნებოდა გამოჭედილი. არადა რეაგირება აუცილებელი იყო. არც თბილისში დაბრუნების შემდეგ იქნებოდა გვიან, მაგრამ „ანაღვლეობას“ მიჩვეული პარლამენტარებისგან გასაკვირი ალბათ კვალიფიციური პასუხი უფრო იქნებოდა, ვიდრე უპასუხობა. სამწუხაროდ, დუმს ჩვენი მეცნიერებაც. უფრო მეტიც, შეიძლება არც კი იცის კოსაჩოვის განცხადების შესახებ. სააკაშვილის ქებით გათანგულ ელექტრონულ მედიას საკუთარი კერპის შეურაცხმყოფელი გამონათქვამის გაშუქებისათვის არც არაფერი მოუმოქმედებია. სამაგიეროდ, ბევრი ილაპარაკა და დღესაც ლაპარაკობს, თუ რა უზომო სიკეთეს მოუტანს ჰოლივუდელი ვარსკვლავის ენდი გარსიას მიერ განსახიერებული სააკაშვილის პორტრეტი.

**სააკაშვილები მიდიან და მოდიან. ქვეყანა რჩება. ასე იყო ოდითგანვე, ყოველ შემთხვევაში დღემდე. უდარდელობამ, ზერელეობამ ამ ჭეშმარიტებასაც შეიძლება შეუყენოს წყალი.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი



წკეპლიკები

## „გადაფარვის“ პოლიტტექნოლოგია

**დღევანდელ მსოფლიოში, როცა ძალადობა გადაქცეულა ეპოქის რიტორიკად, ყოველი ხელისუფლება ქმნის პოლიტტექნოლოგიას, როგორც აუცილებელ დასაყრდენს თავის მოქმედებაში.**

ჩვენი ხელისუფლების პოლიტტექნოლოგია უნიჭობის, სიბრიყვის და, რაც მთავარია, უზნეობის არნახული აღზევებაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის პროგრესულ განვითარებას, იგი „გადაფარვის“ პოლიტტექნოლოგიაა. რომელი ერთი დანაშაული უნდა გადაფაროს? ხელისუფლება თურმე აღშფოთდა, აღშფოთდნენ პარლამენტარი HOMO MISHICUS-ები, როგორ ითქვა ცილისწამება უწმინდესის მიმართო. ვის სჯერა მათი? მათი პოლიტტექნოლოგიის ფარდა, ისე როგორც ყოველდღიური ტყუილი, ერთობ მოკლეა, მეფეს ვერ ფარავს, მეფე შიშველია.

## ლექციების წასაკითხად მიიწვევენ

**როცა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება და თუ ჰააგის ტრიბუნალს გადაურჩა, უმუშევარი არ დარჩება. მას უსათუოდ მიიწვევენ შავი პიარის შესახებ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს დიქტატორები:**

— ომარ ალ ბაშა (სუდანიძ,
— კიმ ჩენ ირი (ჩრდ. კორეაძ.
— გიან შვენ (ბირმაძ,
— რობერტ მუგაბე (ზიმბაბვეძ,
— კადაფი (ლიბიაძ.

მაღალი ჰონორარი გარანტირებული აქვს.

## სამი რუსი დევგმირის სურათის მოლოდინში

**ალბათ გახსოვთ რუსი მხატვრის ვასნეცოვის ცნობილი სურათი „სამი დევგმირი“ — როგორც სიმბოლო რუსი კაცის ფიზიკური სიძლიერისა.**

საინტერესოა, არ შეიქმნება სურათი დღევანდელი სამი რუსი „დევგმირის“: პუტინის, მედვედევის, ლუჟკოვისა პონებზე ამხედრებული, მოპარულ საბავშვო ველოსიპედებსა და უნიტაზებზე მჯდომი ჯარისკაცების გარემოცვაში?

**ლონდა მდივანი**

პროტესტი

## ერეკლე მეორის საზოგადოება ჰელოუინის დღესასწაულს ეწინააღმდეგება

ერეკლე მეორის საზოგადოება ეხმაურება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ღვთისნიერ ინიციატივას ჰელოუინის წარმართული დღესასწაულის დაგმობის შესახებ და მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას და მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს, მხარი დაუჭირონ საქართველოს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ინიციატივას და არანაირი ფორმით არ მიიღონ მონაწილეობა უმსგავს, ანტიქრისტიანულ ორგიებში, რომლის ჩატარებასაც გეგმავს ამა წლის 31 ოქტომბრიდან — 1 ნოემბრამდე ზოგიერთი ორგანიზაცია.

ერეკლე მეორის საზოგადოება ასევე სთხოვს საქართველოს მოსახლეობას, ყურად იღოს საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებული წერილი, სადაც საზოგადოებას მოუწოდებენ არ გახდნენ „უცხოური მოდის ბრმა თაყვანისცემლები“ და არ აღნიშნონ ჰელოუინის დღესასწაული. საქართველოს მოსახლეობა სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ახალდამკვიდრებულ ისეთი ტიპის დღესასწაულებს, როგორიცაა ჰელოუინი, ვალენტინობა და სხვა, მართლმადიდებლობისთვის უცხო დღესასწაულები.

თითქმის სენსაცია

*40 წელიწადია, პროფესორი ნოდარ ყიფშიძე თერაპიის ინსტიტუტის ხელმძღვანელია, ამ ხნის განმავლობაში მას უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს. ამასთანავე მადლიერი მოწაფეები, რომლებიც ყოველთვის ამაყობენ თავისი მასწავლებლით. საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი, რუსეთის სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრიცაა, თუმცა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იქ არ ჩასულა.*

*ბატონი ნოდარი ორიოდე კვირის წინათ ჩეხეთში იმყოფებოდა სამედიცინო კონგრესზე ათკაციან ექიმთა ჯგუფთან ერთად. მან საკმაოდ საინტერესო კვლევაზე მოუთხრო მსოფლიო მედიკოსებს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის თვალსაზრისი, რომ თანამედროვე ადამიანმა ადვილი შესაძლებელია 100 წელიწადი იცოცხლოს.*

*პროფესორის საცდელი ავადმყოფები 80 წელს გადაცილებული ადამიანები არიან, რომლებსაც სრულიად ბანალური და თითქმის ყოველი მეორესთვის დამახასიათებელი ათეროსკლეროზი აწუხებთ. ბატონი ნოდარი ამბობს, რომ თერაპიის ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევებმა სრულიად დაარწმუნა ექიმთა ჯგუფი, რომ დაავადების დამარცხება ადვილი შესაძლებელია — მხოლოდ ესაა, რომ მას სჭირდება მართებული მიდგომა, კომპლექსური მკურნალობა და სწორად დანიშნული პრეპარატები, რაზეც 86 წლის პროფესორი თავად ისაუბრებს:*

# პროფესორი, რომელიც 100 წლის სიცოცხლეს გაჩუქებთ

## ახალი ერა მედიცინაში და წარმატებული კვლევები

— ეს არის ახალი მიგნება მედიცინაში. ჰიპერტონია, დიაბეტი და ათეროსკლეროზი — ეს ის დაავადებებია, რომლებიც კლავენ ავადმყოფს. მაგრამ მე იმას ვამტკიცებ, რომ ეს სამივე დაავადება საჭიროებს კომპლექსურ მკურნალობას, რადგან მხოლოდ ერთ დაავადებაზე ყურადღების გამახვილება და დანარჩენის იგნორირება მაინც არ მოგვცემს სასურველ შედეგს.



**— ეს არის თქვენეული, ქართული ექსპერიმენტი?**

— დიახ.

**— სხვა ექიმები კომპლექსური მკურნალობის აუცილებლობას არ ითვალისწინებენ?**

— არ ითვალისწინებენ, რადგან ენდოკრინოლოგი ცალკე მკურნალობს, ის ავადმყოფის მხოლოდ შაქარს არეგულირებს და იმას არ ფიქრობს, რომ აქ შაქარს არა აქვს წამყვანი მნიშვნელობა.

**— თქვენ, რა თქმა უნდა, გყავთ ამ საკითხში თანამოაზრეები, თქვენი მოწაფეები.**

— თერაპიის ინსტიტუტში ოცკაციანი ჯგუფი მუშაობს, რომელიც აკვირდება მკურნალობის პროცესს.

ამ ახალი მეთოდით ჩვენ ვხსნით მედიცინაში ახალ ერას.

აი, წინათ, თუ ავადმყოფს მაღალი არტერიული წნევა აწუხებდა, ექიმები უნიშნავდნენ მსუბუქ პრეპარატს, რომელიც დაბლა სწევდა წნევას. მაგრამ არ ზრუნავდნენ მის განკურნებაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს იყო სიბერით გამოწვეული. ასეთი მიდგომა კლავს ადამიანს. წნევის დამწევი პრეპარატი ავადმყოფმა უნდა მიიღოს ყოველდღიურად. სწორედ ამის შესახებ მქონდა მოხსენება პრაღაში კონგრესზე, რომელმაც მსოფლიო მედიკოსების დიდი ინტერესი გამოიწვია. იქ საუბარი იყო კორონალური სისხლის დაავადებების შესახებ: სტენოკარდია, ინფარქტი, სისხლის მიმოქცევის მოშლა.

მე, ბუნებრივია, ჩემი კვლევების შესახებ გავაკეთე მოხსენება. მართალია, ასპროცენტიანი შედეგი ჯერ ვერ მივიღეთ, მაგრამ 70, 80 პროცენტი საკმაოდ კარგი შედეგია. თან ჩვენ ისეთ ავადმყოფებზე ვატარებთ ექსპერიმენტს, რომელთაც უკვე რვა-ათი წელია წნევა აწუხებთ.

ჩვენ ვიყენებთ ნორვასკის ფირმის პრეპარატებს, რომელიც 8-10 საათის განმავლობაში არეგულირებს წნევას. საერთოდ, როგორც წესი, წნევის მომატება ძილში ხდება გამთენიის ხანს, როცა ადამიანს უჭირს გამოღვიძება და შესაბამისად წნევის კონტროლს ვერ ახერხებს. ძილის წინ ამ პრეპარატის მიღება აბსოლუტურად კარგ შედეგს იძლევა. პრეპარატი ცოტა ძვირი ღირს — 2 ლარი, მაგრამ ეფექტი ძალიან მაღალია.

**— როცა საქართველოში სოციალური ფონი მძიმეა, რამდენად ხელმისაწვდომია ყველასთვის მკურნალობა, მით უმეტეს, რომ სამივე დაავადებას ერთობლივად, კომპლექსურად მიხედვა სჭირდება?**

— ხელმისაწვდომი ყველასთვის ნამდვილად არ არის. კვლევაში მონაწილე ჩემი პაციენტები ისეთი ადამიანები არიან, ვისაც ნორმალური შემოსავალი აქვთ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ 37-40 პროცენტი ამ ავადმყოფობით უკვე გენეტიკურად არიან დაავადებული. ჩვენ პირველებმა გავაკეთეთ დაკვირვება ახალშობილებზე და აღმოვაჩინეთ, რომ მათ სისხლში უკვე აქვთ გენეტიკური მიდრეკილება — ათეროსკლეროზის ინდექსი. ახლა ისინი 30 წლის არიან და მართლაც უკვე გამოუვლინდათ ათეროსკლეროზი.

**— თუ შეიძლება დაავადების მკურნალობა ადრეულ ფაზაში. თუ არსებობს რაიმე პრევენციული საშუალებები?**

— ეს არის სწორი კვება. უნდა მივიღოთ რაც შეიძლება ნაკლები ცხოველური ცხიმი და ვერიდოთ ყველაფერს, რაც დიდი რაოდენობით ქოლესტერინს შეიცავს. მცენარეული ცხიმი აბსოლუტურად უწყინარია ამ დაავადებებისთვის. მაგრამ წარმოგიდგენიათ ქართველი კაცი, რომელიც სუფრაზე კუჭმაჭს არ მიირთმევს?! ჭარბი წონა, სიმსუქნე, ეს ის პირველი მტერია, რომელიც იწვევს ათეროსკლეროზს, სისხლძარღვების შევიწროვებას, ქონი არ აძლევს სისხლს ნორმალურად მოძრაობის საშუალებას.

**— ალკოჰოლზე რას იტყვით?**

— ღვინო, ორი-სამი ჭიქა, პირიქით, სასარგებლოც კი არის ამ დაავადებებისთვის, მაგრამ ზედმეტი დოზა უკვე გულს დატვირთვას აძლევს და ამდენად უკუშედეგს იძლევა.

განსაკუთრებით კარგია მოძრაობა, სიარული. რაც შეიძლება მეტი უნდა იარონ. ეს აუცილებელი პირობაა ჯანმრთელობისთვის.

**— რამდენი ხანია, რაც ამ კვლევას ატარებთ?**

— ოცი წელიწადია.

ჩვენს ავადმყოფებს ვაძლევთ ორი სახის პრეპარატებს: „სტატინებს“, რომლებიც მოქმედებს ადამიანის მიერ საკვებიდან მიღებულ ქოლესტერინზე, ხოლო მეორე პრეპარატია ეზეტიმები, რომლებიც მოქმედებს ე.წ. ენდოგენურ — თვით ორგანიზმში გამომუშავებული ქოლესტერინის წინააღმდეგ. ჩვენ ამით შეგვიძლია ათეროსკლეროზის შეჩერება. თუმცა, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და თვითმკურნალობა ყოვლად დაუშვებელია. ექიმი მუდმივად აკონტროლებს წამლის დოზას, ცვლის მიღების წესს და ხანგრძლივობას და ა.შ. მას ხანდახან გვერდითი მოვლენებიც ახასიათებს ხოლმე, რასაც მეთვალყურეობა სჭირდება.

**— და მაინც, თქვენი გაანგარიშებით, რა ჯდება დაავადების მკურნალობა?**

— თვეში დაახლოებით 60-დან 120-200 ლარამდე, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის ისეთი თანხა, რომელიც სიცოცხლის გასახანგრძლივებლად არ ღირდეს.

**— საბოლოოდ განკურნება, როგორც მივხვდი, შეუძლებელია?**

— განკურნება არა, მაგრამ დაავადების კონტროლი და მეთვალყურეობა ავადმყოფობის დამარცხების შანსს იძლევა. თუკი 80 წლის ადამიანი კიდევ 20 წელს იცოცხლებს და თან ისე, რომ აქტიური და მხნე იქნება, ამაზე დიდი წარმატება, ალბათ, არ არსებობს.

ჩვენი კვლევის დამსახურებაც სწორედ ეს არის.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

დავა

# „ამირან-ინტერნეტელთა“ გულის სატკივარი

***ადრეც** არაერთხელ აღგვინიშნავს და ახლაც გავიმეორებთ: ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-80-იან წლებში მრავალ სწავლულს საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ XXI საუკუნე, უწინარესად, ინფორმაციის სწრაფი გავრცელების დრო იქნება. ამ თეზისის სამართლიანობაში თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად რწმუნდება და ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ინტერნეტი — ამ მსოფლიო ქსელის მომხმარებელთა რიცხვი განვითარებად და, ასე განსაჯეთ, მესამე სამყაროს ქვეყნებშიც კი დღითი დღე იზრდება. ეს პროცესი მეტ-ნაკლები სიჩქარით ჩვენშიც მიმდინარეობს, თუმცა ბოლო დროს ამ სფეროში ერთგვარი დაძაბულობა წარმოიშვა „გაერთიანებულ ტელეკომსა“ და „კაუკაზუს ონლაინს“ შორის უთანხმოების გამო, რამაც მომხმარებელზეც საგრძნობლად იმოქმედა, თუმცა ბოლოდროინდელი მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, რამდენიმე დღეში მდგომარეობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს.*

„კაუკაზუს ონლაინის“ დაახლოებით რვა ათას ინტერნეტ-მომხმარებელს, რომელსაც „გაერთიანებულ ტელეკომთან“ პროვაიდერის დავის გამო ინტერნეტი (DSL) მეორე თვეა არ მიეწოდება, მომსახურება, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირის ბოლომდე აღუდგება.

მოდავე მხარეებისგან მიღებული ინფორმაციით, ისინი ხელშეკრულების გაფორმებაზე შეთანხმდნენ, რომლის თანახმად „კაუკაზუს ონლაინი“ „გაერთიანებულ ტელეკომს“ დაახლოებით 654 ათას ლარს გადაუხდის, რომელიც სტრუქტურულად 2006-09 წლებში სხვადასხვა სახეობის მომსახურების საფასურს შეიცავს.

ამასთან დაკავშირებით, „გაერთიანებულ ტელეკომში“ განაცხადეს, რომ ვალის გასტუმრებისთანავე „კაუკაზუს ონლაინის“ თანამშრომლებს სადგურში შესვლის ნებას დართავენ, რათა მუდმივი დენის მიწოდების საკუთარი დანადგარების დამონტაჟება შეძლონ.

მაინც რა არის საქართველოში ამ წამყვან ინტერნეტპროვაიდერ კომპანიებს შორის წარმოშობილი დავის მიზეზი, რომელთა ურთიერთობაზე დიდად არის დამოკიდებული ინტერნეტის მომხმარებელი?

„კაუკაზუს ონლაინის“ პოზიცია „გაერთიანებულ ტელეკომთან“ ურთიერთობისას იმ არგუმენტს ეყრდნობა, რომ ამ უკანასკნელს მისგან მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტიის მოთხოვნის უფლება არა აქვს, რადგან კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ეროვნულ საიტზე გამოქვეყნებული მომსახურების პირობების შესაბამისად, ეს პროცედურა გათვალისწინებული არ არის.

ამასთან დაკავშირებით, „გაერთიანებული ტელეკომის“ იურიდიული სამსახურის წარმომადგენელმა ლევან გიორგაძემ განაცხადა, რომ შარშან, მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, „კაუკაზუს ონლაინის“ მოთხოვნით, ტექსტიდან ამოიღეს დავის განხილვის ორგანოს — არბიტრაჟის შექმნის პირობა, სამაგიეროდ ჩადეს საბანკო გარანტიის მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუკი მხარე გადახდის პირობას დაარღვევდა, მაშინ „გაერთიანებულ ტელეკომს“ ნახევარი მილიონი ლარის საბანკო გარანტია ექნებოდა. 2008 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული ვიდრე წლევანდელ მაისამდე საბანკო გარანტია „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ ორჯერ გამოიყენა, რაც „კაუკაზუს ონლაინმა“ გადახდის პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად გამოიყენა.



დეტალებს თავი რომ დავანებოთ, ორი პროვაიდერის ერთმანეთში კინკლაობის გამო (მტყუან-მართლის გარკვევა, როგორც თავადაც აცხადებენ, სხვა, მაგალითად, „ჯეოლინკის“ პროექტთან არსებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით), ინტერნეტის მომხმარებლები დაზარალდნენ. ამის კომენტარი „კაუკაზუს ონლაინის“ კომერციულ დირექტორს გენადი როსტომაშვილს ვთხოვეთ, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ **ის ინტერნეტმომხმარებლები, რომლებსაც ბოლო ორი თვის მანძილზე კონტრაქტის პირობები არ შეუსრულდათ, ზარალი აუნაზღაურდებათ.**

ძველი თქმაა: ბატონები კინკლაობდნენ, ყმებს ყბები ელეწებოდათო. ექსტრაპოლირება რომ გავაკეთოთ, პირველი, რაც კაცს აზრად მოგივა — „ბატონები“ კი დავობენ, მაგრამ, ჩვენ, მომხმარებლებმა, რა დავაშავეთ, პატივცემულებო? იქნებ ვის, რა აუცილებლობის, რა შესაძლებლობების, რა ვალდებულებების მქონე კაცს ხელი შეეშალა უინტერნეტოდ? იქნებ ვინმემ, კერძოდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციიდან რომელიმემ მაინც იზრუნოს იმ ხალხის უფლებების დაცვაზე, ვინც საქმიანობით, როგორც ამირანი კავკასიონს, ინტერნეტზეა მიჯაჭვული?

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

# იუშჩენკოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას უკრძალავენ

**უკრაინის რამდენიმე სასამართლოში შეტანილია სარჩელები, რომლებშიც არის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოს. სარჩელში აღნიშნული მოთხოვნა არგუმენტირებულია იმით, რომ ვიქტორ იუშჩენკო საპრეზიდენტო მარათონის ჩატარების გამო არ უნდა მოცდეს და თავისი მოვალეობები უნდა შეასრულოს. ამიტომაც აღნიშნული სარჩელები უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში იუშჩენკოს მონაწილების აკრძალვას შეიცავს.**

**— ამგვარი სარჩელები დარეგისტრირებულია კიევის, ხერსონის, პოლტავის, ოდესის ადმინისტრაციულ სასამართლოებში, — განაცხადა პრეზიდენტის წარმომადგენელმა ცესკოში მარინა სტავნიიჩუკმა.**

**კიევის საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელი კიევსაბჭოს დეპუტატმა ალექსანდრე პაბატმა შეიტანა. ამას გარდა, მან ასევე თხოვნით მიმართა ცესკოს, არ დაარეგისტრირონ იუშჩენკო კანდიდატის სტატუსით. მისი სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე აცხადებს, რომ პრეზიდენტი ვალდებულია თავის მოვალეობებს 24 საათისა და კვირაში შვიდი დღის განმავლობაში ასრულებდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მას არ აქვს უფლება საარჩევნო კამპანიაზე მოცდეს“. მედიის ინფორმაციით, დანარჩენი სარჩელები სხვა მოსარჩელეების მიერაა შეტანილი, თუმცა მათი შინაარსი პაბატის სარჩელის ანალოგიურია.**

**სხვათა შორის ჰაბატმა აღიარა, რომ ეს მოქალაქეები პრეზიდენტის წინააღმდეგ სარჩელებით მისი პოლიტიკური ძალის „სახალხო გადარჩენის არმიის“ მოწოდებით გამოდიან. მისივე ინფორმაციით, კვირის ბოლომდე ამგვარი შინაარსის სარჩელების რაოდენობა გაიზრდება.**

ХО-ЭОВ-ЭНО

№ 219. ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 2009 წელი.

**არდავიწყება**

# ვანო სარაჯიშვილი და ქართული რომანსი

**ქართული სული და მუსიკა გენიალურად არის შერწყმული ვანო სარაჯიშვილის პიროვნებაში. არც ერთ ქართველ მომღერალს არ ღირსებია ესოდენ დიდი სიყვარული და დაფასება, როგორც მას. ვანო სარაჯიშვილი არის გასული საუკუნის ბრწყინვალე საოპერო მომღერალი, რომელმაც რომანსების შესრულებითაც გაითქვა სახელი და გახდა ისეთი პოპულარული, რომ დღემდე ლეგენდასავით შემორჩა ხალხის გულებს.**

რომანსი მუსიკისა და პოეზიის სინთეზური შერწყმაა, ესაა ლექსი მუსიკით, რომელიც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიმღერების განუყოფელი ნაწილია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ შთამბეჭდავ კვალს ტოვებს ადამიანის ფსიქიკაზე სიმღერა, ამის ნათელი მაგალითია იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“, რომელშიც ასახულია მშობლიური ჰანგის სწორუპოვარი ძლევამოსილება.

ქართული რომანსის სათავეები შორეულ წარსულში, ხალხის გულებში უნდა ვეძიოთ.

ძველი საქართველოს მთა-ბარი შემკული იყო ქართული ჰანგების ჟღერადობით, მესტვირეების – ბლიაძისა და ქებაძის ოსტატობით.

აკაკი გავიხსენოთ:

**„სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის,**
**ქამანჩა ქებაძისაო,**
**დაბლა ქვეყნის ვარ მღერალი,**
**შემამკობელი ცისაო.“**
**(„ირაკლის საფლავზე“)**

ჩონგურს შესანიშნავად ფლობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. იგი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც ლექსი უძღვნა ქართულ ცეკვას („მეგრულ ფერხულზე“).

სასიმღერო კილოზე დაწერილი ბევრი ლექსი აქვს სამშობლოდან გადახვეწილ დავით გურამიშვილს. ბესიკის ლექსებს გატაცებით მღეროდა ხალხი. აკაკის თითქმის მთელი ლირიკა ხალხურმა კილომ გაითავისა (მის „სულიკოს“ ხომ ვარინკა წერეთელმა შეუწყო ტკბილი ჰანგი და მთელი მსოფლიო აამღერა!). პოეტი – აშუღი საიათნოვა, ქალაქურ კილოზე წერდა სასიმღერო ლექსებს (ქართულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოღონდ – ქართული ასოებით) და თვითონვე აკვნესებდა თარზე. აქვე უნდა გავიხსენოთ ჰაზირა, გივიშვილი, იეთიმ გურჯი და სხვები, რომლებიც სასიმღერო კილოზე თხზავდნენ ლექსებს.

პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა პირველმა შეაღო „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ კარი და მისი ეშხით დაგვანახვა – „მწვადის ბოლით დანისლული“ თბილისი, ორთაჭალის ბაღებში თუ სარდაფებში აშუშხუნებული სურნელოვანი ქართული ღვინო და ხალხის წიაღიდან გადმოღვრილი სევდანარევი ჰ ანგები...

ქართული რომანსის სრულყოფასა და დახვეწაში დიდი წვლილი მიუძღვის კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძეს. იგი ითვლება ქართული რომანსის ფუძემდებლად. მან მე-19 საუკუნის 90-იან წლებში დახვეწა და გამოაქვეყნა რომანსები: **„შენ გეტრფი მარად“**, **„ოდესაც გიცქერ“**, **„ნანა“** და სხვა, რომლებიც ქართული მუსიკის კლასიკური ნიმუშებია. რომანსებმა ისე მოიკიდა ფეხი ქართულ სცენაზე თუ ესტრადაზე, რომ ამ ჟანრის ასობით ნაწარმოები შექმნეს ჩვენმა კომპოზიტორებმა: **კორნელი მაღრაძემ** (დაწერა დუეტი **„ჩემს ვარსკვლავს“**); **ფილიპე ქორიძემ – („ვაჰ დრონი, დრონი“ და „შავი შაშვი“).** შემდეგ გამოჩნდნენ **დიმიტრი არაყიშვილი („მზე აღარ ბრწყინავს“), ია კარგარეთელი („შევიშრობ ცრემლსა“, „ლამაზო ქალო“)** და ასე შემდეგ. კარგარეთელი მშვენიერ ტენორს ფლობდა, შესანიშნავად მღეროდა გ. ჩუბინიშვილის რომანსს **„ვარდი“** ხალხში გავრცელებულ პოპულარულ კილოებზე.

**„ურმული“, „ოროველა“, „ინდი-მინდი“** და სხვა მრავალი ქალაქური თუ სოფლური ცალფა (სოლო) სიმღერა ქართული რომანსის შორეული წინაპარია.

თუ მელიტონ ბალანჩივაძე ქართული რომანსის ფუძემდებელია, ვანო სარაჯიშვილი ამ რომანსების უკვდავმყოფელი ოსტატია. მან სიმღერა ისეთი ნიუანსებით შეამკო, რომ სხვა მომღერლებისათვის „საიდუმლო ცხრა ბეჭდით იყო დალუქული“. ვანო ყოველ რომანსს იდუმალი ოსტატობით აჩუქურთმებდა, რაც სხვა შემსრულებლისთვის მიუწვდომელი ხდებოდა. ვანო სარაჯიშვილი განსაკუთრებული გრძნობით ასრულებდა **იოსებ გრიშაშვილის** ლექსზე დაწერილ რომანსს **„გენაცვალე“**, რომელიც ააჟღერა იტალიელი კომპოზიტორის – ბონჯიოვანის რომანსის „ღამის პეპელა“ მოტივით. ვანომ „გენაცვალე!“ სიმღერით ისეთი შთაგონებით წარმოთქვა, რომ მას შემდეგ იოსებ გრიშაშვილს აღარასოდეს წაუკითხავს თავისი ლექსი სცენიდან.

ვანო სარაჯიშვილი ასევე სხვაგვარი გატაცებით მღეროდა რომანსს **„ჩემი ვარსკვლავი“**. მოსხლეტილი, მჭექარე ხმა, ვირტუოზული ოსტატობით გადაჰყავდა ჟრუანტელის მომგვრელ ლირიზმში. თუ ენრიკო კარუზოს დიდებულ შესრულებაში მოზღვავებული ბგერის ძაბვა იგრძნობოდა, ვანო სარაჯიშვილის ტემპერამენტი – მერცხლის ჭიკჭიკივით ცელქობდა...

1920 წლის 10 ივნისს, თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც ვანო სარაჯიშვილმაც მიიღო მონაწილეობა. მან ჩვეული გრძნობით შეასრულა გრიშაშვილის ტექსტზე



– **„ლერწამი ხარ!“** ახალგაზრდა კომპოზიტორის **თამარ შავერზაშვილის** მიერ დაწერილი რომანსი. ხალხით გაჭედილ დარბაზში ქარიშხალი ატყდა. ვანომ კომპოზიტორი და აკომპანიმენტის ავტორი ძალით გაიყვანა სცენაზე და ტაშის გრიალში, მდაბლად დაუხარეს თავი აღფრთოვანებულ საზოგადოებას.

მხოლოდ სარაჯისეული, ხალასი ბგერის სიანკარე იგრძნობოდა ვანოს „ურმულში“, რომელსაც ხშირად ღიღინებდა თავისთვის, სადმე, სოფლის გზაზე ურმის კოფოზე შემომჯდარი... შთამბეჭდავია, რომ „ურმული“-ს მოსმენის შემდეგ, სევდა და კაეშანი კი არ გეუფლება, არამედ იგი იმედის, შემართებისა და წინსვლის ჰიმნია:

**„გასწიე, ხარო, გასწიე,**
**საცაა გათენდებაო...**
**აღზევანს წავალთ, ნიკორა,**
**მარილს მოვიტანთ ბროლსაო,**
**ჯერ დედას გადავეხვევი,**
**მერე შვილსა და ცოლსაო...“**

ფრაკში ან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ვანო, სცენაზე თუ ბუნების წიაღში, თვალს მილულავდა და ამ ხუჭუჭქოჩრიან, შნოიანი ქართველი ვაჟკაცის ღიღინში იგრძნობდით, რომ საცაა გათენდება, ნიავი შუბლს გააგრილებს და ხარიც ფეხს აუჩქარებს...

ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებულ რომანსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა **„მხოლოდ შენ ერთს“**, რომელიც სწრაფად გავრცელდა ხალხში.

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი გადმოთარგმნა შალვა დადიანმა დრამატურგ კარეევის პიესიდან „უბედური ნაზიჯი“. პიესაში ლექსის სათაურია „Тебе ОДНОЙ“ (გრამფირფიტაზე ჩაწერილია სოლო ვანო სარაჯიშვილის შესრულებით); ლექსს მელოდია შეუწყო მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ფოსტის მოხელემ კ. სარჯველაძემ.

ლექსის დახვეწილი ტექსტი ასეთია:

**„მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის,**
**შთაუნერგავს მაღლიდან ღმერთს,**
**სიხარული, სიყვარული,**
**მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს!**
**მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის,**
**მოუცია მაღლიდან ღმერთს,**
**ჰარმონია, პოეზია,**
**მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს!**
**ვისურვებდი ვყოფილიყავ,**
**სიყვარულის შემართებად,**
**სიცოცხლეშიც, საფლავშიაც,**
**შენთან ერთად, შენთან ერთად“.**

ამ რომანსს დიდი გრძნობით მღეროდნენ დები იშხნელებიც...

ვანო სარაჯიშვილს ქართველმა ხალხმა „ხმის გენიოსი“ და „საქართველოს ბულბული“ უწოდა: მისი სიმღერა ხალხის გულისხმა იყო. ვანო პოეზიაში მუსიკას ეძებდა, მუსიკაში კი – პოეზიას. იგი ყოველთვის მღეროდა; სიმღერა იყო მისი სიცოცხლე და ცხოვრების აზრი!..

... 1917 წლის ივლისის ერთ მცხუნვარე საღამოს, ვერის ბაღში პურობდნენ ვანო სარაჯიშვილი და მისი მეგობრები, -– კაკლის ხის ქვეშ გაეშალათ სუფრა.

შემოათენდათ. ვანო სადღაც გაქრა.

ცოტა ხნის შემდეგ ზეციდან ჩამოესმათ ჯადოსნური ბგერები: ვანო კაკლის კენწეროზე ასულიყო და იქიდან „ურმულით“ უგალობდა მშობელ ქვეყანას...

აღსანიშნავია, რომ რომანსებს მღეროდა არამარტო ქართულ, არამედ რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

სამწუხაროა, რომ მისი რომანსების რეპერტუარიდან ცოტა გრამფირფიტა არის შემორჩენილი (ისიც დაზიანებული): „ურმული“ – ხალხური (აკომპანიმენტის გარეშე);

საზოგადოება „ამურის“ თხოვნით, 1915 წელს ბევრი რომანსი ჩაიწერა ფირფიტაზე, ამ საზოგადოების აგენტის – ტაბლიაშვილის მეშვეობით: **„ახ, მთვარევ, მთვარევ“, „გუნდოვან გულსა,“, „მშვენიერთა ხელმწიფევ“, „ურმული“, „გენაცვალე“** (მეორედ), **„ო, მარი“** და სხვა მრავალი. ეს ჩანაწერები უცხოეთში გაიგზავნა გასამრავლებლად, მაგრამ დღემდე მათ კვალს ვერავინ მიაგნო.

ვანო სარაჯიშვილი საუცხოოდ ფლობდა გიტარას, ფორტეპიანოს, სალამურსა და ჩელოს. მეგობართა წრეში, ლხინის დროს ხშირად დაამღერებდა გიტარაზე რომანსებს: **„ო, მარი“, „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, „მხოლოდ შენ ერთს“, „გიმნაზისტი გიმნაზისტკას“** და სხვა.

ქართული სული და მაღალი მუსიკალური კულტურა გენიალურად იყო შერწყმული ვანო სარაჯიშვილის პიროვნებაში.

მას ახასიათებდა უაღრესი თავმდაბლობა და რაინდული სისპეტაკე. გარეგნობით იყო მომხიბლავი, ერთგული მეგობარი, გიჟმაჟი, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად.

... 130 წელი გასულა ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან (დაიბადა 1879 წლის 1 მაისს); 85 წელია, რაც მადლიერი ქართველი ერი გლოვობს ამ დიდებულ ადამიანს – საოპერო მომღერალსა და რომანსების უბადლო შემსრულებელს, რომელსაც ჯერ კიდევ ახალგაზრდას, 1924 წლის 11 ნოემბერს, 45 წლის ასაკში გაუჩერდა მგზნებარე გული.

იგი დაკრძალულია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრის ბაღში, მაგრამ, რაც მთავარია, მადლიერმა ქართველმა ხალხმა ვანო სარაჯიშვილს საკუთარ გულში აუგო ძეგლი.

„საქართველოს ბულბულის“ ხსენებაზე დღესაც სრულიად საქართველო სიამაყით იღიმება!

სამშობლოს ღიმილი ხომ ყველაზე დიდი ძეგლია ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის.

**ირინე ღლონტი**

**ინფორმაცია**

## ცოტნე გამსახურდია დანაშაულს არ აღიარებს

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი ცოტნე გამსახურდია მეზობლის დაჭრას არ აღიარებს.**

**როგორც გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განაცხადა, მის დაცვის ქვეშ მყოფი თავად არის დაზარალებული.**

**— ახლახან გამოვედი წინასწარი დაკავების იზოლატორიდან, სადაც ცოტნე გამსახურდია მოვინახულე. როგორც მისგან გავიგე, ის წუხელ, სახლში ბრუნდებოდა, როცა უკნიდან ვიღაც მიეპარა და თავში რაღაც ჩაარტყა, რის გამოც გონება დაკარგა. გონზე ცოტნე კოლხურ კოშკში მოვიდა, სადაც ის პოლიციამ მაშინვე დააკავა. ასე რომ, ის თავად არის დაზარალებული, — განაცხადა ბექაურმა.**



**ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ დაუნახავს „თუ ვინ მიეპარა და ვინ მიაყენა თავის არეში დაზიანებები“.**

**როგორც ბექაური აცხადებს, გამსახურდიასთვის ბრალი ჯგერჯგერობით არ წაუყენებიათ. კანონის თანახმად, მას ბრალი 48 საათის განმავლობაში უნდა წაუყენონ.**

**ბექაურის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფთან ჯერჯერობით არც გამომძიებლები შესულან.**

**შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდია დაკავებულია. ის მეზობლის დავით ბაჟელიძის დაჭრაშია ეჭვმიტანილი.**

**არსებული ინფორმაციით, ინციდენტი სამშაბათ ღამით კოლხურ კოშკთან ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.**

## თუთბერიძე დებატებს ღია ეთერით ითხოვს

**თეა თუთბერიძე საპატრიარქოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში დებატების გამართვის შესახებ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება.**

**თეა თუთბერიძე საპატრიარქოსთვის ღია ეთერის დათმობის შემთხვევაში თავადაც იგივე პირობებს ითხოვს.**

**— მივმართავ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას, თუ ეთერი დაეთმობა საპატრიარქოს, მოვითხოვ ღია, პირდაპირი ეთერის დათმობას ჩემთვისაც, ვინაიდან დღეს ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და საპატრიარქოც ცდილობენ ის დისკუსია, რომელიც მე წამოვიწყე, დაიყვანონ იმ იაფფასიან რგოლებამდე, რომელიც ამ დისკუსიის დროს განვათავსე ჩემს პირად გვერდზე, — ნათქვამია თუთბერიძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**თუთბერიძე მიიჩნევს, რომ არსებობს კითხვები, რომლებზედაც პასუხი უნდა გასცეს საპატრიარქომაც და ხელისუფლებამაც.**

**— მიმაჩნია, რომ დისკუსიაში დაცული უნდა იქნას ბალანსი და თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ დებატებში წარმოდგენილი როგორც საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც კითხვები და პრეტენზიები გააჩნია, ასევე საპატრიარქოს წარმომადგენლები, — აცხადებს თუთბერიძე.**

**შეგახსენებთ, რომ თეა თუთბერიძის პირად გვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეომასალას პატრიარქთან დაკავშირებით საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა. თუთბერიძის ქმედების მიმართ საკუთარი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საპარლამენტო უმრავლესობამ და ოპოზიციამ, პოლიტიკური სპექტრის სხვა წამორმადგენლებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა. გაჟღერდა თავშეკავებული პოზიციებიც.**

**თავად პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, რომ ადამიანს მუდმივად აქვს განსაცდელი, თუმცა ის მოთმინებით უნდა დაძლიოს.**

**აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებაში პოლემიკა კვლავაც გრძელდება, რასაც საპატრიარქოს განცხადება მოჰყვა.**

**საპატრიარქოს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ საკითხებზე დებატები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში უნდა წარიმართოს.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გუანტანამოს ტუსაღები თბილისში მიდიან?

**მაღალი რანგის ჩინოვნიკმა გვაცნობა, რომ თბილისი და ვაშინგტონი განიხილავენ ამერიკის ბანაკ გუანტანამოში გამომწყვდეული საეჭვო ტერორისტების საქართველოს ციხეებში განთავსების შესაძლებლობას. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება ტუსაღების გადაცემის შესახებ „მიმდინარეობს“. მან არ დაასახელა მოლაპარაკების დეტალები.**

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშკარად განაცხადა, რომ საქართველო მზად არის მიიღოს გუანტანამოს ტუსაღები. ტელეარხ „ფოქს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სექტემბრის ბოლოს მან თქვა, რომ მისი ქვეყანა „აბსოლუტურად“ მზად არის მიიღოს ხალხი, რომლებიც არიან გუანტანამოში. „თქვენ იცით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, დავეხმაროთ ამერიკას მის ბრძოლაში ტერორთან, რითაც შევძლებთ“, — თქვა მან.

ობამას ადმინისტრაციამ გუანტანამო უნდა დახუროს 2010 წლის იანვარში, მაგრამ იქ ძველებურად იმყოფება 200-ზე მეტი ტუსაღი. სამართალდაცვის ჯგუფების ცნობით, დაახლოებით 60 ტუსაღს გაუშვებენ.

მაგრამ პატიმრების ახალი ადგილის ძებნა დანარჩენებისთვის არ ყოფილა იოლი. საქართველო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქვეყანათაგანია, რომლებიც დათანხმდნენ, მიიღონ წელს გუანტანამოს ტუსაღები. სხვა ქვეყნები, რომლებმაც განაცხადეს მზადყოფნა ამისთვის, არიან დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ბელგია, საფრანგეთი და ირლანდია.

ყოფილი ტუსაღები გაიგზავნა სხვადასხვა ქვეყნებში — ალბანეთიდან და კუვეიტიდან ბერმუდამდე და ირლანდიამდე. ადრე, მიმდინარე წელს, 4 უიღური (მუსლიმანები ჩინეთის სინძიანის პროვინციიდან) გადაიყვანეს ბერმუდის კუნძულებზე.

ბევრი ქვეყანა არ არის მზად, მიიღოს ამ გამოშვებულთაგან ტუსაღი, ვინაიდან თავად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა მათ განთავსებაზე თავის ტერიტორიაზე, აცხადებს ბრიტანელი ჟურნალისტი ენდი უორთინგტონი, რომელმაც გამოსცა წიგნი „გუანტანამოს ფაილები“. მასში საუბარია ბანაკის შიდა ცხოვრების პირობებზე.

ეს შეზღუდვა გახდა ურთიერთსაპირისპირო სიგნალების საბაბი ტუსაღებთან და იმ რისკთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გაჩნდეს იმ ქვეყნებში, სადაც მათ განათავსებენ, ამბობს უორთინგტონი.

შედეგად, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს აიძულოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც დაპირდება ამ ხალხთან ადამიანურ მოპყრობას, წაიყვანოს ისინი“, — განაცხადა უორთინგტონმა სატელეფონო ინტერვიუს მსვლელობის დროს.



ეკა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა მიიჩნევს — საქართველოს ციხეებში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა განთავსება არ შეუქმნის ახალ საფრთხეს ეროვნულ უშიშროებას. „ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ გულისხმიერი პარტნიორი ყოველ შესაძლო შემთხვევაში: ჩვენ არა მხოლოდ ვთხოვთ შეერთებულ შტატებს დახმარებას, არამედ ვცდილობთ ვიყოთ მისი პარტნიორიც, — თქვა მან. — საკითხი შეეხება არა მხოლოდ წვრილმან საკითხებს, როგორიცაა გუანტანამო, არამედ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობასაც ავღანეთში“.

კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ლინკოლნ მიტჩელი ამბობს, რომ გადაწყვეტილება, მიიღოს გუანტანამოს ტუსაღები, არის შანსი სააკაშვილისთვის — აჩვენოს თავისი განსაკუთრებული ურთიერთობა თეთრ სახლთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი იმიჯისთვის ქვეყნის შიგნით.

მართალია, ტუსაღების გადაყვანის პროგრამა არსებობს 2002 წლიდან, ძნელია მონახო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ არჩევენ ქვეყანას, სადაც უნდა გადაასახლონ ეჭვმიტანილები.

უცნობია ისიც, თუ სად განათავსებს საქართველო გუანტანამოს ტუსაღებს. ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს არასამთავრობო უწყებებისა და სამართლებრივი დახმარების უწყების ხელმძღვანელმა გვაცნობა, რომ მან არაფერი იცის გუანტანამოს ტუსაღების შესახებ, რომლებიც უნდა გაიგზავნონ საქართველოს ციხეებში.

ტყეშელაშვილმა თქვა, რომ ჯერ ძალიან ადრეა პატიმრების გადმოყვანის შესაძლებლობის დეტალების განხილვა, ვინაიდან „ეს საკითხები ჯერ არ გადაწყვეტილა“.

„ეს არ არის ის პროცესი, რომელზეც ისაუბრებდა ნებისმიერი მთავრობა მანამ, სანამ არ ექნებოდა ყველა დეტალი გასაცნობად“, — დაუმატა ტყეშელაშვილმა.

EURASIANET

# ნორმალური საინფორმაციო ომი

**რუსეთის სპეცსამსახურები ამზადებენ დივერსანტებს საქართველოს პანკისის ხეობაში გადასასროლად. ამის შესახებ იტყობინებოდნენ, ჩეჩნეთში წყაროს მითითებით, პორტალი „ჯორჯია ონლაინი“ და სააგენტო „ექსპრესნიუსი“.**

ხეობიდან მოეწყობა რეიდები რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, რაც გახდება საბაბი რუსეთის სამხედრო მოქმედებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციას უწოდა მცდელობა, ყველაფერი სხვას გადააბრალონ. „არის მონაცემები საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ ისლამისტ ტერორისტებთან, რომლებიც შედიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საქართველოს პანკისის ხეობიდან“.

რუსეთის სპეცსამსახურების გეგმების „გამჟღავნებით“ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ჩეჩნეთის რესპუბლიკის წყაროების მითითებით იტყობინებიან დეტალებსაც. დივერსიული ჯგუფი სულ სამია. ისინი განთავსებული არიან ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩეჩნეთში. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ამჟამად ალაგირში იმყოფება, მიდის მარშრუტით მიზურ-ზედა ფიაგდონი, რომელიც ესაზღვრება სოფელ სიონს უკვე საქართველოს ტერიტორიაზე. მეორე, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, განთავსებულია გროზნოს მახლობლად სოფელ ლახა-ვარანდაში, მესამე კი — სოფელ კიროვ-იუტის რაიონში. ეს დაჯგუფებები გაერთიანდებიან სოფელ ცუტრახის რაიონში, დაღესტნის უკანასკნელ დასახლებულ პუნქტში და უკვე იქიდან დაიწყებენ მოქმედებას პანკისის მიმართულებით. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციას წინ უსწრებდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის ალექსანდრ ბორტნიკოვის განცხადება ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის სხდომაზე, რომელიც წინა კვირას გაიმართა. მან ბრალი დასდო საქართველოს ტერაქტებში ჩრდილოეთ კავკასიაში. „ბოევიკებში აღმოჩენილი აუდიო ანგარიშები მოწმობენ იმის შესახებ, რომ ისინი „ალ-ყაიდის“ ემისარებთან ერთად ამყარებენ კონტაქტებს საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან, რომელთა მონაწილეობითაც მოამზადეს ტერორისტები და გადაისროლეს ისინი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე“. მისი სიტყვებით, საქართველოს სპეციალური სამსახურები მონაწილეობას ღებულობენ იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და საფინანსო სახსრების მიტანაში დივერსიების მოსაწყობად.

საქართველოს ოპოზიციამ უმალვე დააყენა წინადადება, მოეწყოს პანკისის ხეობის მონიტორინგი უცხოელი დიპლომატების მონაწილეობით, რათა დაადასტურონ: რაიონი, 2000-იანი წლებისგან განსხვავებით, სუფთაა, არავითარი ტერორისტები, არავითარი ბაზები აქ არ არსებობენ. მაგრამ ხელისუფლებამ ამ იდეაზე თავდაპირველად უარი თქვა — სულერთია, მოსკოვი მაინც თავისას გაიტანს. ერთი მხრივ, ასეთი მიდგომა გასაგებია. იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რაზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს პანკისის ხეობა.

ეს რაიონი, რომლის სიგრძეა დაახლოებით 20 კილომეტრი და სიგანე 10 კილომეტრი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთში, შეჭრილია კავკასიის ქედში და გამოყოფილია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან საკუთარი ქედით. ხეობის ორივე მხარეს ხშირი მაღალმთიანი ტყეებია. ერთადერთი სერიოზული გზის გასწვრივ რამდენიმე სოფელია, ოთხ მათგანში — დუისში, ომალოში, ჯოყოლოსა და ხალაწანში უძველესი დროიდან ცხოვრობენ ქისტები, ეთნიკური ჩეჩნები. აქვე 2000-იან წლებში თავშესაფარი ჰპოვა დაახლოებით 10 ათასმა ლტოლვილმა თავად ჩეჩნეთიდან. მათთან ერთად იყო ბოევიკების რაღაც რაოდენობა რუსლან გელაევის ხელმძღვანელობით, რის არსებობასაც კატეგორიულად უარყოფდა მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება. უარყოფდა მანამ, სანამ გელაევმა არ განახორციელა თავგანწირული, თუმცა წარუმატებელი, ლაშქრობა აფხაზეთში.

რა შეიძლება მივიღოთ ამ ღარიბი კუთხის მონიტორინგის შედეგად? რეალურად არაფერი, გარდა ახალი მეჩეთებისა, რომლებიც ერთგვარ კონტრასტს ქმნიან ღარიბ ქოხმახებთან. ჩეჩნებიდან გამოსულები თითქმის აღარ არიან: მათი უდიდესი უმრავლესობა ან დაბრუნდა სამშობლოში, ანდა ნახა თავშესაფარი უფრო კეთილსაიმედო ქვეყნებში, ხოლო პანკისში დარჩენილებს შუბლზე როდი აწერიათ, თუ რას აკეთებენ ისინი. „ხეობაში არ არიან არავითარი ტერორისტები და ბოევიკები. მათზე საუბრით რუსეთი ცდილობს გაამართლოს თავისი წარუმატებლობანი ჩრდილოეთ კავკასიაში, მოახდინოს საქართველოს დისკრედიტაცია და ამავე დროს მოამზადოს ნიადაგი ახალი აგრესიისთვის“, — დარწმუნებულია ქართველ ჩეჩენთა არაფორმალური ლიდერი ხიზრი ალდამოვი, რომელმაც თავის თავს „საქართველოში იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენელი“ უწოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, თბილისი არ ეთანხმება ამ აზრს ნაწილობრივ. ყოველ შემთხვევაში, უკვე სამშაბათს პარლამენტის საპრეზიდენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა დაიწყეს შეთანხმება ოპოზიციის წინადადებასთან — შეიქმნას საერთაშორისო მონიტორინგული ჯგუფი. დეპუტატმა გია თორთლაძემ დააყენა წინადადება, მოწვეულ იქნეს უშიშროების საბჭოს სხდომა: „რუსეთში თავად რუსები მოაწყობენ ტერორისტულ აქტს და ამაში საქართველოს დასდებენ ბრალს. შემდეგ შემოიჭრებიან ჩვენს ტერიტორიაზე... არის ბევრი ვარიანტი. შეიძლება პანკისიდან ისინი მივიდნენ ლაგოდეხამდე იმის მტკიცებით, რომ იქ არიან ტერორისტები“. ელოდებიან, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართება საქართველოში პრეზიდენტ სააკაშვილის ჩამოსვლის უმალვე. ამჟამად იგი ვიზიტით პოლონეთში იმყოფება. უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას საერთაშორისო მონიტორინგული ჯგუფის შექმნის შესახებ უცხოელი დიპლომატებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით.

კავკასიის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორმა, „რია ნოვოსტის“ საექსპერტო ჯგუფის წევრმა მამუკა არეშიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში სიტუაციას პანკისის ხეობაში არაჯანსაღი და საგანგაშო უწოდა.

ექსპერტის სიტყვებით, მას არ გააჩნია ინფორმაცია პანკისის ხეობაში ტერორისტების ყოფნის შესახებ, რომლებიც შეიძლება მოქმედებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით, ანდა მათ ხელშემწყობთა შესახებ — „რუსეთის მხრიდან მოდის ნორმალური საინფორმაციო ომი“, მაგრამ ნიადაგი მათი გამოჩენისთვის არ არსებობს. „მე ოთხი წელიწადია მოვუწოდებ ხელისუფლებას, მიხედონ პანკისის ხეობას“, — განაცხადა არეშიძემ. ჯერჯერობით უნაყოფოდ.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

## დედამიწის ზურგზე



**ტერორისტების ჯგუფმა ქაბულში გაეროს შენობა იგდო ხელთ და ხოცავს მძევლებს**

რაიონში, სადაც გაეროს შენობაა, მოხდა ძლიერი აფეთქება. ურთიერთსროლის ზონაში ქუჩები დაბლოკეს პოლიციელებმა და ავღანეთის უშიშროების ძალებმა. დაიღუპა 10 მძევალი, რომელთაგან 6 გაეროს თანამშრომელია. არიან დაჭრილებიც.

* * *

**ჰილარი კლინტონი ოფიციალური ვიზიტით პაკისტანს ჩავიდა**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს განზრახული აქვს, გამართოს მოლაპარაკება პრეზიდენტ ასიფ ალი ზარდარისთან, პრემიერ-მინისტრთან უსუფ რეზოი გილანისთან. ამას გარდა სახელმწიფო მდივანი შეხვდება საგარეო საქმეთა მინისტრს, აგრეთვე პაკისტანის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებს.

* * *

**მოზამბიკში საყოველთაო არჩევნებია, ფავორიტები არიან მმართველი პარტია და მოქმედი პრეზიდენტი**

ოთხშაბათს აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნის 10 მილიონი მცხოვრები აირჩევს ერთ-ერთს პრეზიდენტობის სამი კანდიდატიდან, აგრეთვე წარმომადგენლებს 17 პარტიიდან და ორი კოალიციიდან რესპუბლიკის ასამბლეაში (პარლამენტში). როგორც ვარაუდობენ, გამარჯვებას მოიპოვებენ მმართველი პარტია და მოქმედი პრეზიდენტი არმანდუ ემილიუ გებოზა.



* * *

**პერუს სამხრეთ აღმოსავლეთში ჩამოვარდა სამხედრო შვეულმფრენი, ის ძლიერმა ქარმა იმსხვერპლა**

შვეულმფრენი უკვე ახლოს იყო მიწასთან და დაჯდომას აპირებდა, როდესაც ამოვარდა ძლიერი ქარი და გადააყირავა მანქანა. არც ერთ მგზავრს რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღია. მათს ზუსტ რიცხვს არ ასახელებენ უშიშროების მოსაზრებით: სამხედროები მიფრინავდნენ ნარკომოვაჭრეების დასაჭერად.

* * *

**ჰონდურასში გაიტაცეს „დე ფაქტო მთავრობის“ თავდაცვის მინისტრის მოადგილის მამა**

გატაცებულის მეუღლემ დანაშაული დაუკავშირა პოლიტიკურ კონფლიქტს, რომელიც ამჟამად რესპუბლიკაში მძვინვარებს. ამავე დროს სწორედ ამ დღეებში მოკლეს პუტჩისტების ლიდერის ძმისწული. ამერიკის შეერთებული შტატები აგზავნის თავის დელეგაციას, რათა მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში პუტჩისტების ლიდერ მიჩელეტსა და კანონიერ პრეზიდენტ სელაიას შორის.



## მაგიური სატევარი

**კრისი – ინდონეზიელთა ეროვნული იარაღი, პირით გველის სხეულს ჰგავს, ტარი კი ძველებური პისტოლეტისას მიუგავს. პირველი კრისები ინდონეზიაში მე-14 საუკუნის დამდეგს, სამეფო მაჯაპაჰიტის ეპოქაში გამოჭედეს, რომელიც იმხანად ინდონეზიის მთელ არქიპელაგს მართავდა.**



კრისი მეომრის მთავარ იარაღად გადაიქცა. ინგლისელი ისტორიკოსი უ.მარდსენი კი XVIII საუკუნის მიწურულს წერდა, რომ კრისი თავის მსხვერპლთა რიცხვის პროპორციულად ფასობს. მოგვიანებით კი კრისს მაგიური ძალაც მიაწერეს, ამ ხანჯლის კულტიც მას შემდეგ წარმოიშვა. ძველი გადმოცემებით, „ოჯახურ“ კრისში ყველაზე მამაცი და გულადი მეომრების სულების ბინაა, ხოლო თუკი მისი მფლობელი უღირსი კაცი გახდება, კრისი მას, უბრალოდ, „გაუფრინდება“.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული კრისს ძალიან დიდი „უფლებამოსილებანი“ ჰქონდა. მაგალითად, როცა დიდგვაროვანი მამაკაცი უფრო დაბალი სოციალური მდგომარეობის ქალს ირთავდა ცოლად, ხშირად თავის მაგივრად ქორწილში კრისს „აგზავნიდა“.

სატევრის გადმოჭედვას, რომლის პირი რკინისა და ნიკელის შენადნობია, ადგილობრივი მჭედლები (ემპებიძ თვეებს ანდომებდნენ. იმისთვის, რომ კრისს მაგიური ძალა ჰქონდეს, უბრალო კი არა, მეტეორიტებიდან გამოდნობილი ნიკელია საჭირო. მის პირზე „ტალღების“ რაოდენობა შვიდიდან ოცდახუთამდე მერყეობს, ოღონდ აუცილებლად კენტი უნდა იყოს. მჟავით პირზე ყვავილების, მცენარეების ანდა მითიური წმინდა გველის, ნაგას გამოსახულება დააქვთ.

## გემები, ინტალიები

**ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მეოთხე ათასწლეულში ძველ ეგვიპტეში წარმოიშვა ფერად ქვებსა და პატიოსან თვლებზე ჭრის ხელოვნება.** იმ ეპოქიდან ჩვენამდე მრავალმა ამოჭრილმა სამკაულმა, ავგაროზმა თუ ბეჭედმა მოაღწია. მალე ეს დიდებული ხელოვნება სხვა ხალხებშიც გავრცელდა, თუმცა აყვავების უმაღლეს დონეს ძველ სა-



ბერძნეთში მიაღწია, სადაც ამ „მატიანეთა შორის უმშვენიერესს“ „გლიპტიკა“ უწოდეს. ანტიკური ხანის ნაკვეთ ქვებს „გემებს“ უწოდებენ, რომლებზეც მითოლოგიური სცენები, მეფეთა, დიდგვაროვანთა და ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულთა პორტრეტები, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები, საყოფაცხოვრებო სცენები, ასევე ბერძნული ფერწერისა და ქანდაკების შედევრებია გამოსახული.

ამიტომაა, რომ გემები ოდითგანვე დიდ ინტერესს იწვევდნენ და კოლექციონერების ყურადღების საგანს წარმოადგენენ. სარდონიქსზე, გიშერზე ასევე პატიოსან თვლებზე – ამეთვისტოზე, ძოწზე, იაშმაზე, ზურმუხტზე ამოკვეთილ გემებს აგროვებდნენ რომაელი მხედართმთავარი სტიპიონ აფრიკელი, დიდი იტალიელი პოეტი პეტრარკა, სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მეფე და დიდგვაროვანი, ჩვენს დროში კი – შეძლებული ხალხი.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გემა – ესაა ფერად ქვაზე ან პატიოსან თვალზე ამოკვეთილი გამოსახულება, ხოლო ჩაჭრილ გამოსახულებას „ინტალია“ ეწოდება. ინტალიებს, უმეტესწილად, ბეჭდებად იყენებენ.

## ყბედი ვილი

**თუკი ჩვენს დროში ტექნიკაც კი „ამეტყველდა“, მოლაპარაკე თუთიყუშით ვერავის გააკვირვებ. თუმცა, როგორც დავრწმუნდებით, გამონაკლისიც არსებობს.**



მას შემდეგ, რაც ამერიკელი ცოლ-ქმრის მედისონების ბინაში ქურდები შეიპარნენ, ყბედმა თუთიყუშმა ვილჰემმა ერთი ამბავი ატეხა – ფრთების ტყაპუნს მოჰყვა და ისტერიული ყვირილი ატეხა პატრონების გასაგონად: „დროზე მოდი, მამუ! დროზე მოდი ვალო!“ ქურდები იძულებულნი გახდნენ კუდამოძუებულნი გაპარულიყვნენ, შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა კი მათ კვალს თითების ანაბეჭდებით უმალვე მიაგნეს. ეს კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, „მოწმე“ ვილის დამსახურებაა.

## მკერდოსნები

**ლამაზი მკერდი ნებისმიერ ქალს მიმზიდველობას რომ მატებს, ამის მტკიცება საჭირო ნამდვილად არ არის. სადავო ისაა, რომ მამაკაცთა უმრავლესობას დიდი მკერდი მოსწონს, ამდენად, ვფიქრობთ, არ გაგიკვირდებათ ჩვენი კითხვა, ბატონებო: თქვენი აზრით, ვინაა მსოფლიოში ყველაზე „დიდმკერდოსანი“ ქალბატონი?**

ვიდრე უშუალოდ რეკორდსმენებს წარმოგიდგენთ, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ, პატივცემულო მკითხველო: სხეულის წონის რა ნაწილს შეიძლება შეადგენდეს მკერდი? რამდენს და თითქმის ერთ მესამედს! სწორედ ეს „დიდებული“ მაჩვენებელი ეკუთვნის კანადელ სტრიპტიზიორს კრისტალ შტრომს, რომლის მკერდის მოცულობა 180 სანტიმეტრი, აზღუდის ზომა კი 57 F!

მსოფლიოში ერთ-ერთი „უდიდესი“ „მიღწევის“ პატრონია შავკანიანი პორნოვარსკვლავი ნორმა სტიტცი, 1999 წლის გინესის წიგნის რეკორდსმენი, რომელსაც კრისტალ სტრომისგან და აწ გარდაცვლილი ასევე პორნოვარსკვლავის ლოლო ფერასისგან განსხვავებით, „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ნატურალური მკერდი“ (178 მოცულობა და 48 V ზომა) ჰქონდა.

## ტაფა, ბოთლი, მერე რა?

**ესპანელმა მზარეულმა ალფონსო გონსალესმა დაამტკიცა, რომ ზღვებსა და ოკეანეებში ცურვა არა მარტო კომფორტული იახტებით ანდა დიდი გემებით, არამედ უბრალო... ტაფითაც შეიძლება.** მისი „საცურაო საშუალების“ სიგრძეა 3,8 მეტრი, ბორტის სიმაღლე კი 1,3 მეტრი. მას მცირე სიმძლავრის ძრავი და ორი პატარა იალქანი აქვს. მცურავმა ტაფამ სტარტი მდინარე ებროს სათავეებში აიღო, ხმელთაშუა ზღვაში შევიდა, შემდეგ კი საფრანგეთის ნაპირებს მიადგა. ოთხი ათასი (!ძ კილომეტრის გავლის შემდეგ ხომალდ „კილიკილონის“ (ასე დაარქვეს მცურავ ტაფასძ კაპიტანმა გონსალესმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში იგი ატლანტიკის ოკეანის გადალახვას... რვამეტრიანი ბოთლით აპირებს.

## „მაღალი კლასიც“ ამას ჰქვია!

**ხანმოკლე შვებულებიდან დაბრუნებულმა მანილელმა ერმელიტა ტუბანმა გაოცებისგან ერთხანს მეტყველების უნარი დაკარგა:** აღმოჩნდა, რომ ქურდებმა მარტო ფასეული ნივთები კი არა, არამედ... მთლიანად სახლიც მოპარეს! ადგილზე მისულ პოლიციელებს არანაკლებ გაოცებულმა მეზობლებმა უამბეს, რომ დღისით-მზისით რამდენიმე სპეცტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა დინჯად დაშალა ორსართულიანი სახლი, ხოლო მათ განუმარტეს, რომ ტუბანის ოჯახი ქალაქის სხვა უბანში გადასახლდა. საგულისხმოა, რომ პოლიციამ ქურდების კვალს ვერ მიაგნო.

## საბრალო ტინგი

**თოთხმეტი წლის წინათ მთელი მსოფლიო ალაპარაკდა 12 წლის ჩინელ გოგონა ტინგ ჟიანფენზე, რომლის მკერდი... 10 კილოგრამს (!) იწონიდა. 1993 წლიდან მოყოლებული საბრალო ბავშვმა სიარული ველარ შეძლო, ხოლო ხელმეორედ ფეხი რომ აადგმევინეს, თვალისჩინი დაკარგა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.**

წიგნში „ქალის სექსუალური ანატომია“, მის ავტორს უორენ ბენდექტს მოყავს 14 წლის ქალიშვილის მაგალითი, რომლის მკერდი 9,5 კილოგრამს იწონიდა. სხვა ავტორს, მარტინ მონისტიეს, თავის წიგნში გამოქვეყნებული აქვს 20 კილოგრამი წონის და 184 სანტიმეტრის მოცულობის მკერდის მქონე ქალის ფოტო.



## წყალქვეშა მონადირის თავგადასავალი

**უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ ინდოეთის ოკეანეში მეთევზეები კენიის ნავსადგურ მომბასას მახლობლად.** ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მათ ტალღებში კაცი შენიშნეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა, მაგრამ უცნაურობა ის იყო, რომ სხეული მართალია ნელა, მაგრამ მაინც გადაადგილდებოდა სანაპიროს მახლობლად მარჯნის რიფების მიმართულებით, თუმცა კი ამ დროს უკუქცევა იყო და, ყველა კანონით, სხეული ღია ოკეანის მიმართულებით უნდა გადაადგილებულიყო. მეზღვაურები აშკარად ხედავდნენ, რომ კაცს ქვემოდან ვილაც უბიძგებდა რი-



ფების მიმართულებით და მათაც იმ ადგილისკენ გაცურეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი უკვე ნაპირზე გამოყვანილმა კაცმა მეთევზეებს უამბო, რომ წყალქვეშა ნადირობის დროს გონება დაკარგა და ლამის დაიხრჩო, მაგრამ დელფინებმა უშველეს.

## კარს მომდგარი მომავალი

**ბოლო დროს ინტერნეტით მეტად საგულისხმო ვიდეორგოლის ნახვა შეიძლება, რომელსაც, პირობითად, „რიცხვების მაგია“ შეიძლება ვუწოდოთ. და მართლაც, ზოგიერთი ფაქ-**




**ტი ნამდვილად მომაჯადოებელია.**

კერძოდ:

– სულ მალე ჩინეთი დედამიწის ინგლისურად მოლაპარაკე ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნად გადაიქცევა;

– ინდოეთში უმაღლესი IQ (ინტელექტის კოეფიციენტისძ მქონე ხალხის 25 პროცენტი უფრო მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი მოსახლეობა, ანუ ინდოეთში უფრო მეტი ჭკვიანი ბავშვია, ვიდრე ამერიკაში ბავშვია საერთოდ!

– ამჟამად ინგლისურ ენაში დაახლოებით 540 ათასი სიტყვაა, რაც ხუთჯერ მეტია, ვიდრე შექსპირის დროს იყო.

– გამოითვალეს, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ერთი კვირის გამოშვებაში იმდენი ინფორმაციაა, რამდენსაც მე-18 საუკუნეში კაცი მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ იღებდა...

**თუ რა იქნება რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ამის წარმოდგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ბევრი რამ, ცხადია, უფრო გვიან მოხდება, ვიდრე ამას 2000 წლის დადგომამდე წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მომავალი, როგორც ჩანს, უკვე კარსაა მომდგარი...**

## „შვიდწლოვანი მაწანწალა“

**62 სანტიმეტრის სიგრძეს მიაღწია ცხვრის ბეწვმა, რომელიც შვიდი წლის მანძილზე გაპარსვას რაღაც სასწაულით გადაურჩა.**

ცხვრის ბეწვის გამოცდილი მპარსავები თითო ცხოველს, საშუალოდ, 4 კილოგრამ ბეწვს პარსავენ, სამხრეთ ავსტრალიის შტატის ფერმერმა რობერტ რეინოლდსმა კი თავის საძოვრებზე მიგნებულ რეკორდსმენს 29 კილოგრამი ბეწვი გაპარსა! გამოცდილი ფერმერი გაკვირვებულია იმითაც, თუ საერთოდ როგორ გაძლო ამდენ ხანს ვაცმა, რომელსაც „შვიდწლოვანი მაწანწალა“ შეარქვეს, გაპარსვის გარეშე. ჩვეულებრივ გაუპარსავი ცხვრები 4 წელზე მეტს არ ცოცხლობენ, ვინაიდან ამხელა დატვირთვას მათი გული ვერ იტანს.



ტყვიის სროლა

# ნინო სალუქვაძის მორიგი ტრიუმფი



**ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის მფლობელი ნინო სალუქვაძე კვლავაც წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას. წლეულს ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მან ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ჩინურ ვუქსში კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა — მერვედ მოიპოვა მსოფლიო სუპერთასი.**

ქართველი ჩუბინი საკვალიფიკაციო ეტაპზევე დაწინაურდა 589 ქულით. მას სამი ქულით ჩამორჩა ორ-ორგზის მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი მუნკბაიარ დორჯსურენი. ფინალში ყველაზე უკეთ ახალგაზრდა ჩინელმა იუანმა ისროლა — 204,6. სალუქვაძე 200,5 ქულით მეხუთე იყო, მაგრამ ორი ეტაპის დაჯამებით ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს 789,5 ქულა მოუგროვდა, რამაც პირველი ადგილი არგუნა. 787,8 ქულით მეორე ადგილი ჩინელ ჩენს ხვდა, ხოლო 787,2 ქულით მესამე იყო დორჯსურენი.

ჭადრაკი

# ზავის დღე



**სერბულ ნოვი სადში მიმდინარე მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის მე-6 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები აზერბაიჯანს დაუზავდა (ნანა ძაგნიძე — ზეინაბ მამედიაროვა 0:1, ლელა ჯავახიშვილი — ნარმინ კაზიმოვა 0,5:0,5, ნინო ხურციძე — ხაიალა ისკანდაროვა 1:0, ბელა ხოტენაშვილი — გულნარა მამადოვა 0,5:0,5ძ.** ლიდერთა ჯგუფის უმეტესობამაც თავიანთი შეხვედრები ფრედ დაამთავრა — საფრანგეთი — სომხეთი 2:2, ჰოლანდია — სერბეთი 2:2, რუმინეთი — ესპანეთი 2:2, უნგრეთი — საბერძნეთი 2:2, რუსებმა კი უკრაინას მოუგეს 3:1 და 10 ქულით ქართველებთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ.

ვაჟთა ტურნირშიც მომრავლდა ფრედ დამთავრებული შეხვედრები. ქულები გაიყვეს: საქართველომ და უკრაინამ (პაველ ელიანოვი — ბაადურ ჯობავა, ანდრეი ვოლოკიტინი — ლევან ფანცულაია, ზახარ ეფიმენკო — მერაბ გაგუნაშვილი, იური კრივორუჩკო — თორნიკე სანიკიძე — ყველა შეხვედრა ყაიმით დამთავრდაძ, აზერბაიჯანმა და რუსეთმა, ჰოლანდიამ და საფრანგეთმა, სერბეთმა და უნგრეთმა, ნორვეგიამ და რუმინეთმა. სამაგიეროდ, სომხებმა ესპანელებს სძლის 3:1, ჩეხებმა — ბულგარელებს 2,5:1,5, პოლონელებმა — დანიელებს 3:1.

ექვსი ტურის შემდეგ 11 ქულით აზერბაიჯანი ლიდერობს. 9-9 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს რუსეთი, სომხეთი და საქართველო იყოფენ.

**ლექსო ცინცაძე**

ჭიდაობა

# თურქული გამოცდა



**ქართველმა ახალგაზრდა მოჭიდავეებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა სტამბოლში დასრულებულ თურქეთის „რესპუბლიკის თასზე“.**

თავისუფალ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლაშა ტალახაძე (66ძ, რომელმაც ფინალში ირანელი არფე ფაზლი დაამარცხა. მეორე ადგილებზე გავიდნენ დავით ხუციშვილი (74ძ, დავით მარსაგიშვილი (84ძ და ომარ გუსოშვილი (96ძ, ხოლო თენგიზ ჩოჩიშვილი (60ძ, დავით გალეგაშვილი (66ძ, თევდორე ებანოიძე (96ძ და თორნიკე ხიდეშელი (96ძ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქროს მედალი პაატა ბაკურიძემ (74ძ მოიპოვა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა მან თურქ ენეს ბასარის მოუგო. გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ მინდია წულუკიძე (55ძ, უჩა ჩიტიაშვილი (74ძ და სერგო გოგისვანიძე (120ძ, ბექა ჩოფლიანი (96ძ კი მესამე იყო.

ქართული ჭიდაობა



# სეოკის 20 წლისთავის აღსანიშნავად

**საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის ღია საჭიდაო სარბიელზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით ქართულ ჭიდაობაში ეროვნული ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 20 ათასი ლარიძ გაიმართა. შეჯიბრებაში თბილისის, შეიარაღებული ძალებისა და 8 რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თითოეულმა ნაკრებმა ორ-ორ შეხვედრაში მიაღწია წარმატებას, ორიც უშედეგოდ დამთავრდა (მოასპარეზენი 6 წონით კატეგორიაში გამოდიოდნენძ. სუფთა მოგებები შიდა ქართლს (ამირან პაპინაშვილი, კახა მამულაშვილი, დავით ჭაბუკაშვილი, პაატა ღვინიაშვილი, ნოდარ მეტრეველი, იოსებ მსხალაძე, მწვრთნელი რამაზ ჩოჩიშვილიძ მეტი აღმოაჩნდა და ჩემპიონობაც მას ხვდა.

ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ პაატა ღვინიაშვილი აღიარეს, ანზორ კიკნაძის სახელობის თასი კი მძიმეწონოსან იოსებ მსხალაძეს გადაეცა.

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ჩემპიონატის გამარჯვებული შიდა ქართლის გუნდი ორგანიზატორებთან ერთად.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**



ჩვენებურზე

# ანანიძეზე ტაციაობაა!



**ეს სასიხარულო და საამაყო ცნობა ინტერნეტის „ფურცლებზე“ ამოვიკითხეთ — მოსკოვის „სპარტაკის“ 17 წლის ქართველი ნახევარმცველი ჯანო ანანიძე ევროპული ფეხბურთის გრანდების ყურადღებისა და ინტერესის სფეროში მოხვდა. ჩვენებურმა ჭაბუკმა ისინი განსაკუთრებით დააინტერესა მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივთან“ მატჩში გოლი გაიტანა და რუსეთის ჩემპიონატში ყველაზე „ნორჩი გოლეადორი“ გახდა — მაშინ ის 17 წლის და 8 დღისა იყო.**

ახლა, როგორც ამბობენ, ჯანოთი მოიხიბლნენ ინგლისური „ლივერპული“ და „არსენალი“, ესპანური „სევილია“, იტალიური „მილანი“ და „იუვენტუსი“, ალბათ დაინტერესდება კიდევ ბევრი სხვა გუნდიც.

ახლა ჯონი ანანიძე მიაჩნიათ ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ მთავარ ტალანტად. როგორც ბრიტანული გაზეთები წერენ, მასზე თვალი უჭირავს არსენ ვენგერს, იქაური ჟურნალისტები ჯანოს ადარებენ მეორე ქართველ ნახევარმცველს გიორგი ქინქლაძეს, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ნისლიანი ალბიონის გუნდებში — „მანჩესტერ სიტიში“ და „დერბი ქაუნთიში“.

იმასაც ამბობენ, რომ თუკი ანანიძე ლონდონის „არსენალში“ გადავა, იქ დახვდება რუსეთის ნაკრების კაპიტანი ანდრეი არშავინი, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელს დაეხმარება ლონდონთან ადაპტაციაშიო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ჯანო ანანიძეს ფეხბურთის მინდვრებზეც და პირად ცხოვრებაშიც!

ინტერნეტიდან

## რეკორდები, ჩემპიონები

**გერმანელმა მოცურავემ შტეფფენ დაიბლერმა, ეროვნულ ტურნირზე რომ გამოდიოდა, დაამყარა მსოფლიო რეკორდი 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 25-მეტრიან აუზში — 22,06.** ადრინდელი რეკორდი (22,18ძ 2008 წლის 14 დეკემბრიდან ეკუთვნოდა ფრანგ ამორი ლევოს.

* * *

**როგორც ჩინური ცნობილიდან იტყობინებიან, ოლიმპიური ჩემპიონი და ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში ლიუ სიანი მესამედ გახდა ჩინეთის ეროვნული თამაშების ჩემპიონი, მისი შედეგია 13,34.**

ფინალური გარბენი ერთობ დრამატულად წარიმართა. თუმცა ლიუ სიანომ სტარტი წარმატებით აიღო და მეორე ბარიერთან ლიდერობასაც კი დაეუფლა, მაგრამ დისტანციის შუაგულში მას ბერლინის ჩემპიონატის ფინალისტი ცზი ვეი წამოეწია, მხოლოდ მერვე ბარიერთან ლიუ სიანომ ისევ იმძლავრა, წინ გაიჭრა და ფინიშთან მეტოქეზე 0,08 წამით ადრე მივიდა.

* * *

**ფრანკფურტში საერთაშორისო მარათონზე მამაკაცთა შორის პირველი სამი ადგილი კენიელმა მორბენლებმა დაიკავეს** — კირვა — 2.06.14, კიპრონო ჩერუეოტი — 2.06.23, კაპლაგატი — 2.07,05. 23 წლის ჰილბერტ კირვამ, ვისთვისაც ეს მეორე მარათონი იყო, ტრასის რეკორდიც დაამყარა და ადრინდელი რეკორდი თითქმის მთელი წუთით გააუმჯობესა (2.07.21ძ.

## ბალახი პოკერითა და სიმღერით შეცვალა

**ბალახის ჰოკეის 30 წლის ვარსკვლავმა, ნიდერლანდელმა ფატიმა მორეია დე მელომ სპორტული კარიერის მწვერვალს 2008 წლის ზაფხულში მიაღწია და თავის გუნდს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გაამარჯვებინა.**

თავისი სპორტული კარიერის დროს მან უამრავი ჯილდო მიიღო — წარმატება ორ ოლიმპიურ თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატზე, მონაწილეობდა 200-ზე მეტ მატჩში და ეროვნული გუნდის შემადგენლობაში გაიტანა 30 ბურთი.

ჰოკეიში კარიერა რომ დაამთავრა, ახლა ის ბედს ორ საქმეში სცდის — პოკერსა და სიმღერაში.



„ვფიქრობ, რომ პოკერსა და სპორტს ბევრი საერთო აქვს, — აცხადებს ბალახის ჰოკეის ლამაზმანი, — აქაც მეტოქეობის სულისკვეთებაა“.

მან ოთხი წლის წინათ მეგობრებთან ერთად დაიწყო პოკერის თამაში და მშვენიერ შედეგებსაც მიაღწია ყოფილ ჩოგბურთელ ბორის ბეკერთან და სხვებთან ერთად.

რაც შეეხება სიმღერას, თუკი ემღერება, განსაკუთრებით პოკერში წარმატების შემდეგ, მღერის.

დღესასწაული

# იაკობობაზე, ვარიანში

**ვარიანში, სოფლის მოედანზე, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან რიგრიგობით ჩერდება ავტობუსები. მხიარული შეძახილებით გადმოდიან ბავშვები და პედაგოგები და მშობლების თანხლებით მუზეუმში შედიან. აქ მათ ბევრი რამ უნდა მოისმინონ და გაიგონ „დედაენის“ ავტორის ცხოვრებიდან, მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობიდან. კაცმა რომ თქვას, წინანდელი იაკობობები გავიხსენე, საქართველოს ლამის ყველა კუთხიდან რომ ჩამოდიოდნენ ბავშვები, თორემ გუშინ სამიოდ ავტობუსი მოვიდა გორის სკოლებიდან და ერთიც — ხონის რაიონიდან. ბარაქალა ხონელებს, თორემ თბილისიდან იაკობობაზე კი არა, წლეულს საერთოდ ჯგუფი არ ჩამოსულაო, — გვითხრეს მუზეუმში.**

იდგა შემოდგომის მზიანი დღე, ქროდა ქარი და სოფლის გზაზე გამხმარ ფერად ფოთლებს ხან სად წაიღებდა, ხან — სად. ვარიანის სკოლის ეზოში დიდი ფუსფუსი იყო. მას შემდეგ, რაც სოფლის ეკლესიაში მეუფე ანდრიამ გამოჩენილი მწერლისა და მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის საქვეყნო ღვაწლზე იქადაგა და იქ შეკრებილი ლიახვის ხეობიდან ლტოლვილი ბავშვებიც დალოცა. სკოლის მოედანზე გორელი მოსწავლეების ხელგარჯილობის, მათ ნახელავი ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა გაიხსნა. დიდებულ სანახაობას შემოდგომის ბარაქაც მატებდა ეშხს — ნაირ-ნაირი ხილი, გოგრა, ფელამუში, აკიდოები, მოკლედ — რა გინდა სულო და გულო!

დამთვალიერებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია იაკობის მოთხრობის — „იავნანამ რა ჰქმნა?“ მიხედვით მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილმა ლიტერატურულმა კომპოზიციამ. სახელდახელოდ გამართულ სცენაზე დიდი მწერლის სხვა მოთხრობების გმირებიც გააცოცხლეს.

მოსწავლეთა თვითმოქმედი ძალებით დიდებული კონცერტი გაიმართა. ვარიანში იაკობობის დღესასწაული მთელი დღე გრძელდებოდა.

**გურამ ვაშაკიძე**

კოლეგის წიგნი

# ამბავი ქამიანობისა

**„ეს წიგნი წეროვანის დევნილთა დასახლებაში დაიწერა, სადაც მიმდინარე წლის თებერვლიდან ვცხოვრობ პატარა ლიახვის ხეობაში მშობლიური კარდამწვარი და მამულდარბეული. იქ რუსული ოკუპაციის შედეგად გათავხედებულმა ოსმა ექსტრემისტებმა ყველაფერი მოსპეს და გაანადგურეს, რასაც ქართული ერქვა“** — ამბობს გულისტკივილით წინათქმაში ავტორი — ჟურნალისტი და პროზაიკოსი **იულონ ტოლიაშვილი**.

უსიამოვნო განცდა მეუფლება. მახსენდება წლები, რომელიც მე და იულონმა კომუნისტური მმართველობის მიმწუხრის ჟამს გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში გავატარეთ. ის იქ ცხინვალის საოლქო გაზეთში მუშაობისას წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით მოვიდა. ეტყობა, ამიტომაც აუღო ალღო იოლად დედაქალაქის თუხთუხა ყოფას, საიდანაც ის ჟურნალისტის მაძიებელი თვალით კრეფდა და უშურველად აწვდიდა მკითხველს ცხოვრებისეული ფერებით მაძღარ პუბლიცისტურ წერილებს, ცხელ-ცხელ რეპორტაჟებსა და კორესპონდენციებს.

ამჯერად ყოველივე ეს მშობლიური კერიდან გამოდევნილი კოლეგის მოთხრობებმა ჩაანაცვლა, სადაც მკითხველი ცრემლიანი ცნობისმოყვარეობით ეცნობა ქართველი და ებრაელი, ქართველი და ოსი ხალხების, იმ ადამიანების ურთიერთობებს, რასაც დალი დაასვა სისხლიანმა ეთნოკონფლიქტებმა და ომმა, გამოიწვია სულიერი რღვევა და ზნეობრივი კატაკლიზმები. ამის დასტურია მოთხრობის **(„მიუწვდომელი იერუსალიმი“)** მთავარი პერსონაჟის, ჟურნალისტ გიორგი ღვთისაურის ცხოვრება, რომელსაც ამ ოცი წლის წინათ კომუნისტურმა „კანონიერებამ“ საყვარელი ქალი და შვილი სამუდამოდ დააკარგვინა, ხოლო ცხინვალის ეთნოკონფლიქტმა და რუსეთ-საქართველოს ომმა მისი სიცოცხლეც შეიწირა. ისე წავიდა ამ სოფლიდან გიორგი ღვთისაური, რომ იერუსალიმში მცხოვრები გულისწორი და უცნობი ვაჟიშვილისთვის თვალის შევლებას ვერ ეღირსა...




დამთრგუნველია ამბავი, რომელსაც იულონ ტოლიაშვილი მოთხრობაში **„ხერგილთან“** გადმოგვცემს. ოთხმოცდაათს გადაცილებულმა მწერალმა შვილებს ანდერძად დაუტოვა — სიკვდილის შემდეგ იმ სოფელში დამამარხეთ, სადაც დავიბადე და გავიზარდე და სადაც ჩემი მშობლიური სოფელი მტერს უკავია და საზღვარი ისეა გამაგრებული, ჩიტსაც ვერ გადაუფრენია. ამის მიუხედავად მაინც მიიღებენ გადაწყვეტილებას და ქირისუფალთა მცირე ჯგუფი მიცვალებულიანად საზღვარს მიადგება.

არაო, სასტიკ უარზე არიან საზღვრის დამცველები, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და ურთიერთგარიგების შემდეგ (ქირისუფლებისგან 500 დოლარის გადახდას მოითხოვენძ, მაინც წაასვენეს და თავადვე დაასაფლავებენ. ქირისუფალთ ეჭვის ჭია ღრღნით: ხომ შეიძლება ფული წაიღონ, მიცვალებული თვალს მიაფარონ და მიწის ზევით დატოვონ? დიდი ვაივაგლახის შემდეგ რაღაც დათმობას მიაღწიეს — ნეშტს ერთი კაცი გაყვება, ეს შესრულება შვილიშვილმა ითავა, უკან გამობრუნებულს დამხვდურებმა მუჭში დამუწული მიწის გუნდა შენიშნეს. ეს პაპაჩემის საფლავის მიწაა, — თქვა მან, — თბილისში ბებიის საფლავს უნდა მივაყაროო...“

— მძიმე რეალობას შეგმიხარ, — ვეუბნები კოლეგას, — თუმცა, როგორც მწერალი, — ამ სირთულეს შესანიშნავად ართმევ თავს. ვერ გეტყვით, რამდენად ესიამოვნა კომპლიმენტი იულონს, მაგრამ ერთი კი განაცხადა: თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეთნოკონფლიქტის გაღვივებით და ომით მოგებული დარჩა, ძალიან ცდება. ჩვენ ყველანი დამარცხებული აღმოვჩნდით — ოსებიც, ქართველებიც და რუსებიც. ერთადერთი, რაც ამ უამურ ომს გადაურჩა, რწმენაა, იმედი იმისა, რომ დევნილები დაუბრუნდებიან მშობლიურ კერას, რომ საქართველოში უთუოდ დამკვიდრდება ჰუმანური, დემოკრატიული იდეალები, საითკენაც ყველა ნორმალური ერი მიისწრაფვის.

ღმერთმა გისმინოთ!

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღება შეეძლებათ

**სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე განათლების რეფორმასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.**

როგორც უწყებიდან იტყობინებიან, შეხვედრას სამინისტროს ხელმძღვანელი დიმიტრი შაშკინი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილი და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები დაესწრნენ.

შეხვედრაზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს. სამინისტრო ამჟამად განათლების რეფორმის მეორე ეტაპზე გადადის, რაც მსჯავრდებულებისთვის უმაღლესი განათლების მიღებას ითვალისწინებს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა განათლების კუთხით მიმდინარე რეფორმის პირველი ეტაპი წარმატებით დაასრულა.

ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულს უკვე აქვს შესაძლებლობა, მიიღოს საშუალო განათლება და განათლების დამადასტურებელი ატესტატი, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი**

**შოთა გოგოხია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

[illegible]

განჩინება

[illegible]

27 ოქტომბერი 2009 წელი. ქ. ქუთაისი

[illegible]

გამოარკვია:

[illegible]

დაადგინა:

[illegible]

გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი.

**რასაც გასცემ, შენია...**

# გადავარჩინოთ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე!



ლევან თოთაძე თავის პატარა მარიამთან ერთად

გამოჩენილ მეცნიერს, თვალსაჩინო ქართველ დემოგრაფს, პროფესორ ანზორ თოთაძეს, ვაჟიშვილი (ლევანი, 38 წლისა) გაუხდა მძიმე ავად – დაუდგინდა აპლასტიური ანემია და სასწრაფოდ გადაიყვანეს სამკურნალოდ საზღვარგარეთ. ავადმყოფი ამჟამად იერუსალიმის საავადმყოფოში მკურნალობს. საბედნიეროდ, დაავადება მკურნალობას ემორჩილება, მაგრამ იგი, სულ მცირე, სამ თვეს გრძელდება და 150 ათას ევრომდე ჯდება. ოჯახი იძულებულია, გაყიდოს საცხოვრებელი ბინა, მაგრამ ეს თანხაც არ არის საკმარისი. ერთადერთი იმედად საზოგადოების დახმარება რჩება.

გთხოვთ, დაეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს ღირსეულ მეცნიერსა და მოქალაქეს, რომელიც წლების განმავლობაში უანგარო სამსახურს უწევდა და უწევს თავის ქვეყანას.

თანამოქალაქეებს, ბიზნესმენებს, ფირმებსა და კომპანიებს შეუძლიათ, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად, დახმარების თანხა გადარიცხონ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მიხედვით:

**მიმღების ბანკი:**

სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკი,

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220 101 502.

მიმღების დასახელება: თოთაძე ანზორ

მიმღების ანგარიშის ნომერი: 136 380 200.

უცხოელმა მოქალაქეებმა უნდა გადარიცხონ:

Intermediary Bank
Citibank N.A. New York, USA
SWIFT: CITIU33

Account with Institution
Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22
3, Pushkin Street, 0205 Tbilisi, Georgia

Beneficiaru: Totadze Anzor
Account: 136 380 200.

**დღის კალენდარი** — **29 ოქტომბერი**

**21-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.**

ღირსისა ზენონ იყალთოელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა (VIს).

ხსენება მოწამის ლონგინოზ ასისთავისა, რომელი იყო წინაშე ჯვრისა უფლისა.

## დაიბადნენ:

**1656 – ედმუნდ ჰალეი,** ინგლისელი ასტრონომი და გეოფიზიკოსი, გარდაიცვალა 1742 წელს.

**1797 – გაეტანო დონიცეტი,** იტალიელი კომპოზიტორი, იტალიური რომანტიკული საოპერო სკოლის წარმომადგენელი, გარდაიცვალა 1848 წელს.

**1896 – თამარ ჭავჭავაძე,** ცნობილი მსახიობი, გარდაიცვალა 1968 წელს.

**1928 – გიორგი თოთიბაძე,** ცნობილი მხატვარი, ფერმწერი.

## გარდაიცვალნენ:

**1783 – ჟან ლერონ დ'ალამბერი,** ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი, დაიბადა 1717 წელს.

**1911 – ჯოზეფ პულიტცერი,** ამერიკელი ჟურნალისტი, ლიტერატურის და ჟურნალისტიკის დარგში ცნობილი პრემიის ფუძემდებელი, დაიბადა 1847 წელს.

## მოვლენები:

**1863 წელი** – დაარსდა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**1923 წელი** – თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. პრეზიდენტად აირჩიეს ქემალ ათათურქი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**თურქეთი** – ეროვნული დღე

**მედიანიუსი**



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6775 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5052 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7333 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7145 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3451 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0890 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1048 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1510 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4573 ლარი |



**ინფორმაცია**

# ქართულ ცეკვა-სიმღერას უკრძალავენ

**საინგილოში, კახის პოლიციის თანამშრომლები რაიონში მცხოვრებ ქართველებს ქართულად სიმღერას და ცეკვას უკრძალავენ. როგორც ადგილობრივებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამართალდამცავები ქართველებს პრობლემების შექმნით დაემუქრნენ.**

ინგილოების თქმით, ამ მიმართულებით პოლიცია განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც კახის კულტურის ცენტრი აღარ ფუნქციონირებს. როგორც ცნობილია, სამი კვირის წინათ, კახის რაიონში არსებული ერთადერთი კულტურის სახლი ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა. საინგილოში მცხოვრები ქართველების ვარაუდით, შენობა სპეციალურად დაწვეს. აღსანიშნავია, რომ ხანძრის გაჩენის დღესვე, საღამოს, კახის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილემ დამწვარი შენობიდან პირადად ჩამოხსნა აბრა, სადაც ეწერა, რომ შენობაში ქართული კულტურის ცენტრი ფუნქციონირებდა.

კახის რაიონში მცხოვრები ქართველების შევიწროებასთან დაკავშირებით კახის პოლიციის განყოფილებაში საუბარი არ ისურვეს. კახეთის საინფორმაციო ცენტრი ამ საკითხზე კომენტარისათვის საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოსაც დაუკავშირდა, მაგრამ უშედეგოდ.

**ჯი-ემ-ენ**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში"

99-62-77; 899 32-85-76.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 31 ოქტომბერს

**კადრი**



**ანეკდოტები**

– საკმაოდ ცუდად გამოიყურებით, – ეუბნება აღშფოთებული ექიმი პაციენტს, – ხომ გარკვევით გითხარით, დღეში მხოლოდ ათი ღერი სიგარეტი მოსწიეთ-მეთქი!

– ეს კარგად მახსოვს, ექიმო, მაგრამ, დამეთანხმეთ, ადამიანისთვის, რომელსაც სიგარეტი არასოდეს მოუწევია, ეს არც ისე ცოტაა!

* * *

არაყი ყველაზე იდეალური კოსმეტიკაა – თვითონაც შეინიღბები და მეგობარი ქალიც ლამაზად მოგეჩვენება.

* * *

– ქალის ძალა მისი სისუსტეა, მამაკაცის ძალა – მისი გამოყენების უნარი.

– რომელი გამოვიყენო? სისუსტე?

– ორივე.

* * *

თუ მურაბაში რკინის ნაქლიბს შეურევთ, მერე ქმრის დაჭერას მაგნიტით შესძლებთ.

* * *

მეტრდოტელი ოფიციანტ ქალს საყვედურობს:

– ყურადღებით იყავით კლიენტებთან ანგარიშსწორებისას. ყური მოვკარი, აი, ის მელოტი



ტიპი როგორ ტრაბახობდა, ხუთი კათხა ლუდი შევუკვეთე, ექვსი კი დავლიეო.

– ჰო, მაგრამ მას შვიდი კათხის ფული გამოვართვი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.